

ხელშეკრულება
იურიდიული პირისა და იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი,
საბანკო მომსახურების შესახებ

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) არეგულირებს სს „ბაზისბანკის“ (შემდგომში „ბანკი“; ს/კ: 203841833; საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge); საბანკო საქმიანობის ლიცენზია N173; მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N1; ელ. ფოსტის მისამართი: info@basisbank.ge; ტელეფონი: 0322922922) მიერ კლიენტი იურიდიული პირისათვის და იმ ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის, რომელიც არ არის იურიდიული პირი (შემდგომ „კლიენტი“) საბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
- 1.2. ბანკი კლიენტს უხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და უწევს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ მომსახურებას ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და წესით. ხელშეკრულებაში აღწერილი ყველა ან/და რომელიმე მომსახურების (მათ შორის, საბანკო ანგარიშის გახსნის ან/და საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული კონკრეტული საბანკო მომსახურებების) მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი **განცხადებით** (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით), რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ/უერთდება ხელშეკრულებას. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი განცხადება (იმის მიუხედავად მატერიალური ფორმითაა ის შედგენილი, თუ ელექტრონულით) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. ბანკი განიხილავს კლიენტის განცხადებას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაიწყებს კლიენტისთვის განცხადებაში მითითებული მომსახურების გაწევას.
- 1.4. კლიენტის ანგარიშ(ებ)ი იხსნება ბანკის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში).
- 1.5. ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად ანგარიშ(ებ)ი შესაძლებელია გაიხსნას როგორც კლიენტის უშუალო იდენტიფიკაციის გზით, ასევე დისტანციურად, მათ შორის, ინტერნეტ-ბანკის ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით გაკეთებული განცხადების საფუძველზე კანონმდებლობითა და ბანკის შიდა მარეგლამენტირებული დოკუმენტებით დადგენილი წესით.
- 1.6. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bb.ge. მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.

2. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე გადახდის ოპერაციების წარმოება

- 2.1. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე გადახდის ოპერაციების წარმოებას ბანკი უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად.
- 2.2. კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება განთავსდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.
- 2.3. გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული საგადახდო დავალების (შემდგომში „საგადახდო დავალება“ ან „დავალება“) მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც ბანკი მიიღებს დავალებას შესასრულებლად. კლიენტის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალება უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ რეკვიზიტებს, აგრეთვე ბანკის მიერ მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში).
- 2.4. კლიენტის ანგარიშზე გადახდის ოპერაციის განხორციელებისას ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ის საგადახდო სისტემა, რომლის მეშვეობითაც განხორციელებს გადარიცხვას.
- 2.5. კლიენტი პასუხისმგებელია საგადახდო დავალების (მასში მითითებული ინფორმაციის) სისწორეზე.
- 2.6. საგადახდო დავალების შესრულება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში
- 2.7. თუ საგადახდო დავალება სრულდება კლიენტის/კლიენტების ბანკში გახსნილ ანგარიშებს შორის, ბანკის მიერ საგადახდო დავალების შესრულება მოხდება მისი ბანკისთვის სრულყოფილი ფორმით წარდგენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს დავალების მიღების დღისა. ხოლო, თუ გადახდა ხორციელდება ისეთი მიმღების სასარგებლოდ, რომლის პროვადერი სხვა ბანკია, საგადახდო დავალება შესრულდება მისი ბანკისთვის სრულყოფილი ფორმით წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 2.8. საგადახდო დავალება სათანადო წესით ხელმოწერილი უნდა იყოს კლიენტისა და ბანკის მიერ (გარდა ელექტრონული საგადახდო დავალებისა).
- 2.9. ბანკი უფლებამოსილია, საგადახდო დავალების მიღებისას ან შესრულებამდე, მოსთხოვოს კლიენტს დამატებითი ინფორმაციის და/ან დოკუმენტაციის წარდგენა დავალების შესასრულებლად.
- 2.10. თუ მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტით) ან/და ბანკში მოქმედი წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალება ინიცირებულია არასაბანკო დღეს, იგი მიღებულად ჩაითვლება მომდევნო საბანკო დღეს (ამასთან, საბანკო დღის 18:00 სთ-ის შემდეგ წარმოდგენილი სავალუტო გადარიცხვები, ასევე 17:30 სთ-ის შემდეგ წარმოდგენილი გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში, მიღებულად ჩაითვლება მომდევნო საბანკო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკის მიერ შესაბამისი დავალების შესრულება მოხდება იმავე საბანკო დღის დასრულებამდე).
- 2.11. თუ კლიენტის საგადახდო დავალება ითვალისწინებს მის შესრულებას განსაზღვრულ დღეს/დღეებში ან განსაზღვრული პერიოდის/პერიოდების ბოლოს ან კლიენტის მიერ ბანკში თანხის განთავსების დღეს, დავალების მიღების

მომენტად ითვლება აღნიშნული შეთანხმებული დღე. თუ შეთანხმებული დღე ბანკისათვის არასამუშაო დღეა, საგადახდო დავალების მიღების დღედ ჩაითვლება შეთანხმებული დღის მომდევნო სამუშაო დღე.

2.12. ბანკი უფლებამოსილია, საგადახდო დავალება არ მიიღოს შესასრულებლად ან/და უარი განაცხადოს დავალების შესრულებაზე, ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ან რამდენიმე გარემოების არსებობისას:

2.12.1. საგადახდო დავალება არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და ბანკში დადგენილ წესებსა და პროცედურებს (მათ შორის, საერთაშორისო გადარიცხვების შემთხვევაში შუამავალ ბანკთან/საგადახდო სისტემასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს);

2.12.2. დავალება შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებას);

2.12.3. დავალება არ შეიცავს ბანკის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, მათ შორის, ბანკის მიერ ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკური შინაარსის კვლევის პროცესში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობის (ან/და მათი კანონიერების) დადგენის მიზნით მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას;

2.12.4. დავალების შესრულებისათვის ანგარიშზე არსებული თანხა (შესაბამისი საკომისიოს ჩათვლით), არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად;

2.12.5. ოპერაციის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხა ან მისი ნაწილი დაბლოკილია (მათ შორის, ბანკის მიერ დაბლოკვის შემთხვევაში);

2.12.6. კლიენტის ანგარიშ(ებ)ის და/ან ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების მიმართ ვრცელდება სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის, თუ თანხა ექვემდებარება საჯარო სამართლებრივ შეზღუდვას);

2.12.7. კლიენტს გახარჯული აქვს ანგარიშზე დამკვეთი ოვერდრაფტის ლიმიტი, რომელიც აუცილებელია დავალების შესასრულებლად;

2.12.8. ოპერაცია გადაჭარბებს ანგარიშ(ებ)ის ან ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტს;

2.12.9. ბანკს დადგენილი წესით არ მიუღია დავალება;

2.12.10. სათანადოდ ვერ ხერხდება კლიენტის და/ან მიმღების იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება ან მიმღების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება;

2.12.11. ოპერაციის კვლევის/შესწავლის პროცესში ბანკი სათანადოდ ვერ დარწმუნდება კლიენტის მიერ მოთხოვნილი ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკურ შინაარსში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობაში (ან/და მისი კანონიერებაში), ან/და ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას;

2.12.12. თუ ბანკის მიერ სათანადოდ წესით ვერ ხდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებები, კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები) განხორციელება;

2.12.13. თუ ტრანზაქცია პირდაპირ ან ირიბად მოიცავს ქვეყნებს, რეგიონებს, ორგანიზაციებს, ფიზიკურ პირებსა და ნებისმიერ სხვა მესამე მხარეს რომელიც სანქცირებულია გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა ან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ან სხვა შესაბამისი სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ;

2.12.14. თუ ტრანზაქცია წინასწარ განზრახულად თუ უნებლიედ ემსახურება ან ხელს უწყობს ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა ან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციების დარღვევას/გვერდის ავლას;

2.12.15. თუ არსებობს სხვა ისეთი ხარვეზი/გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის დავალების შესრულებას.

2.13. საგადახდო დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში, ბანკი არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულებისთვის დადგენილი ვადისა აცნობებს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე, ბანკში დაფიქსირებულ ერთ-ერთ საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

2.14. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული საკომისიოს გადახდა საგადახდო დავალების გაუქმებისთვის, თუ კლიენტის მიზნით ვერ ხდება ბანკისათვის მიწოდებული საგადახდო დავალების შესრულება.

2.15. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი აწარმოებს აუცილებელ მოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოსწორების შემთხვევაში თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2.16. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი ქვეყნის შიგნით გადახდის ოპერაციის შესრულებისას ეყრდნობა მიმღების ანგარიშის ნომერს, შესაბამისად ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია მიაწოდოს ბანკს ზუსტი ინფორმაცია. კლიენტის მიერ ბანკისათვის მიმღების ანგარიშის ნომერის არასწორად მიწოდების შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი შეუსრულებელ/არასწორად შესრულებულ გადახდის ოპერაციაზე.

2.17. კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

2.18. პირდაპირი დებეტის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია, გამოითხოვოს საგადახდო დავალება არაუგვიანეს სადებეტო ოპერაციისთვის შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღის ბოლომდე, ხოლო ხელშეკრულების 2.11 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - არაუგვიანეს შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღისა. ბანკი უფლებამოსილია დააწესოს საკომისიო კლიენტის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საგადახდო დავალების გამოთხოვისთვის.

2.19. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, ბანკისაგან მოითხოვოს რაიმე სახის ანაზღაურება მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებულ ავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკს განუცხადებს თანხმობას გადახდის ოპერაციის შესრულებაზე და მომავალი გადახდის ოპერაციის შესახებ ინფორმაცია კლიენტისთვის მიწოდებული ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი იყო ბანკის ან მიმღების მიერ ამ გადახდის ვალდებულების თარიღამდე არანაკლებ 4 (ოთხი) კვირით ადრე.

3. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა

- 3.1. ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა, ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე. ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აგრეთვე შესაძლებელია კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე.
- 3.2. კლიენტის ანგარიშებიდან ბანკის მიერ უაქცეპტო წესით (კლიენტის თანხმობის გარეშე) თანხების ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
- 3.2.1. ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად;
- 3.2.2. შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საექვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად;
- 3.2.3. ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად
- 3.2.4. მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში (მაგალითად საინკასო დავალების არსებობისას).
- 3.2.5. კლიენტის მიერ მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ სადაზღვევო პრემიის გადასახდელად/დასაფარად, როდესაც კლიენტი სარგებლობს საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული დაზღვევით და აღნიშნული პირობა შეთანხმებულია მხარეებს შორის. ბანკის მიერ ჩამოჭრილი სადაზღვევო პრემიის ოდენობის თანხა მიემართება მზღვეველის შესაბამის საბანკო ანგარიშზე, კლიენტის ვადამოსული ვალდებულების დასაფარად.
- 3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით.
- 3.4. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით.

4. საფასური საბანკო მომსახურებისთვის

- 4.1. ბანკში ანგარიშ(ებ)ის წარმოებისათვის, ანგარიში(ებ)დან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაწეული ყველა სხვა მომსახურებისთვის კლიენტი ბანკს უხდის შესაბამისი მომსახურების საფასურს (საკომისიოს) ოპერაციის შესრულების ან მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად.
- 4.2. საბანკო ანგარიშით მომსახურების ტარიფები განისაზღვრება იმ მომსახურების შესაბამისად, რომლითაც კლიენტი სარგებლობს ბანკში. მომსახურების პაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გულისხმობს კლიენტის მიერ ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობას ბანკის მიერ შეთავაზებული პირობებით, ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. მომსახურების პაკეტის ჩართვა (აქტივაცია) ან მომსახურების პაკეტის ცვლილება ხდება: (ა) კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილი განცხადების საფუძველზე (რაც მიიჩნევა კლიენტის თანხმობად მომსახურების პაკეტში შემავალი ყველა საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობაზე), ან (ბ) ბანკის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, რის შესახებაც ეცნობება კლიენტს ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ფორმით.
- 4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო). აღნიშნული პუნქტი მათ შორის მოიცავს შემთხვევებსაც, როდესაც ბანკმა ფაქტობრივად დაიწყო კლიენტის მიერ მოთხოვნილი მომსახურების განხორციელება, მაგრამ კლიენტის განცხადების ან ბანკისგან დამოუკიდებელი რაიმე გარემოების გამო, მომსახურება არ/ვერ განხორციელდა.
- 4.4. მომსახურების ტარიფები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <https://bb.ge/> და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 4.5. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შესაბამისი მომსახურების საფასურის (საკომისიოს) თანხები კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან და მიმართოს ისინი ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად. თუ ვალდებულების შესრულების თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ოპერაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღის თარიღით, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასური (საკომისიო), მათ შორის გადასახდელები, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მომდევნო საბანკო დღისთვის.
- 4.6.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. კლიენტი ვალდებულია:

- 5.1.1. საბანკო ოპერაციები შეასრულოს ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
- 5.1.2. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან/კლიენტთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია, მათ შორის, ბანკის მიერ ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკური შინაარსის კვლევის პროცესში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობის (ან/და მათი კანონიერების) დადგენის მიზნით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- 5.1.3. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;

- 5.1.4. დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო);
- 5.1.5. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ბანკს ამ უკანასკნელისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის განხორციელებისთვის ან ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისთვის საჭირო ნებისმიერი საბუთი;
- 5.1.6. სრულად აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო ბანკის მიერ გაწეული (მათ შორის კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული) ყველა და ნებისმიერი ხარჯი.
- 5.2. **კლიენტს უფლება აქვს:**
- 5.2.1. მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად;
- 5.2.2. მოითხოვოს და მიიღოს ნაღდი ფული (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში), ანგარიშზე რიცხული ნაშთის ფარგლებში, ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად;
- 5.2.3. ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში და შეწყვიტოს ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 5.3. **ბანკი ვალდებულია:**
- 5.3.1. მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;
- 5.3.2. შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- 5.3.3. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.
- 5.4. **ბანკი უფლებამოსილია:**
- 5.4.1. შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე არხით კლიენტის ინფორმირებიდან ხუთი სამუშაო დღის შემდეგ დააკისროს კლიენტს ჯარიმა, ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის შეცდომით ჩარიცხული თანხის 0,5%-ის ოდენობით სარგებლობის ყოველ დღეზე ან/და უაქცეპტო წესით ჩამოაჭრას კლიენტს შეცდომით ჩარიცხული თანხა;
- 5.4.2. განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე ღონისძიება, თუ ბანკის მიერ სათანადო წესით ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებები, კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები), ან/და ბანკისთვის ცნობილია ან სავარაუდოა/ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან, ან/და ბანკში არსებული ინფორმაციით, კლიენტის (წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის კლიენტში მოიაზრება მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები)/ოპერაციის/ოპერაციაში მონაწილე პირის/ პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალების/ პროდუქციის შეძენასთან / იმპორტთან / ექსპორტთან დაკავშირებული ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიის და/ან კლიენტის მიმართ მოქმედებს ან შესაძლოა მოქმედებდეს საერთაშორისო ეკონომიკური/ფინანსური სანქცია/სანქციები:
- 5.4.2.1. კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე დახუროს ანგარიშ(ებ)ი და/ან ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხული თანხა დაუბრუნოს გამომგზავნს;
- 5.4.2.2. დააყოვნოს ოპერაცია დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე და დამატებითი ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში უარი უთხრას კლიენტს ოპერაციის შესრულებაზე ან/და დაუბრუნოს ჩარიცხული თანხა გამომგზავნს;
- 5.4.2.3. უარი უთხრას კლიენტს ოპერაციის შესრულებაზე ან დააწესოს სხვა შეზღუდვები;
- 5.4.2.4. კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შეუჩეროს, შეუზღუდოს და/ან შეუწყვიტოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებები, მათ შორის ანგარიშ(ებ)ზე ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა, დისტანციური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა და სხვა (მათ შორის დაუწესოს კლიენტს ნაშთის მომსახურების საკომისიო, იმ საბანკო ანგარიშებზე, რომლებზედაც კლიენტს შეეზღუდება ანგარიშის მართვა (ანგარიშებზე რაიმე სახის ოპერაციის წარმოება) და განკარგავა);
- 5.4.2.5. განახორციელოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.
- 5.5. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის, მათ შორის იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შეძენაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 5.6. კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული განცხადების შევსებისას ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის უტყუარი და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით, ინტერნეტ-ბანკის ან ამ ხელშეკრულების 24-ე მუხლით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასევე მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე იმ პირ(ებ)ის შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ბანკში არსებული ინფორმაციის/საბუთების საფუძველზე.

6. მომსახურება ინტერნეტ-ბანკით

- 6.1. კლიენტს შეუძლია, ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების და წინაპირობების გათვალისწინებით, დისტანციური არხის - ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაციები. ინტერნეტ ბანკის

გასააქტიურებლად (მომსახურების მისაღებად) კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად.

6.2. ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის ვებ-გვერდის <https://www.bankonline.ge/> გამოყენებით:

6.2.1. დისტანციურად ონლაინ რეჟიმში საგადახდო ანგარიშ(ებ)ზე წვდომას;

6.2.2. საბანკო ინფორმაციის მიღებას;

6.2.3. ლიმიტების ფარგლებში როგორც საკუთარ, ასევე სხვა პირთა ანგარიშებზე სხვადასხვა საბანკო ოპერაციების (ამ მუხლში შემდგომში “ტრანზაქციები”) ინიცირებას;

6.2.4. სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას;

6.2.5. რეგისტრირებულ მომსახურებაში/პროდუქტში ცვლილებების შეტანის ან/და გაუქმების მოთხოვნის დაფიქსირებას;

6.2.6. სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის/მომსახურების მიღებას/ განცხადების (დისტანციურ არხებში შეტყობინების) დაფიქსირებას;

6.2.7. ინტერნეტ ბანკის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში ბანკის მიერ შეთავაზებული სხვა მომსახურებით სარგებლობას.

6.3. ბანკში მოქმედი ინტერნეტ ბანკით მომსახურების შესახებ ინფორმაცია, პირობები, ტარიფები და ანგარიშსწორების წესები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – <https://bb.ge/> და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.4. ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნების, ლიმიტებისა და პირობების შესაბამისად. თუ ტრანზაქციის განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა, კლიენტი ვალდებულია, ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმატითა და დადგენილი წესით, ტრანზაქციის განხორციელებისას ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია ინტერნეტ-ბანკის საშუალებით.

6.5. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ, როგორც ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილი ნებისმიერ შეტყობინებას (მათ შორის საგადახდო დავალებას, განცხადებას) აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა, ასევე ინტერნეტ - ბანკის მეშვეობით ბანკსა და კლიენტს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას/შეთანხმებას, აქვს მატერიალური ფორმით დადებული ხელშეკრულების ტოლფასი იურიდიული ძალა.

6.6. კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი სერვისების (მომსახურებების) პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 6.11.1. ქვეპუნქტში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ მომსახურების ყველა პირობაზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით.

6.7. კლიენტი უფლებამოსილია, ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების და წინაპირობების გათვალისწინებითა მისცეს სხვა პირს ინტერნეტ ბანკის საშუალებით საკუთარ ანგარიშებზე წვდომა.

6.8. კლიენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს ინტერნეტ-ბანკის საშუალებით განხორციელებულ/განსახორციელებელ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღების სერვისით.

6.9. კლიენტი ბანკს უფლებას აძლევს ინტერნეტ-ბანკით კავშირისას:

6.9.1. კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

6.9.2. კლიენტის დავალებით შეასრულოს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში ბანკის მიერ დაშვებული ოპერაციები ან/და ქმედებები.

6.10. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ საბანკო მომსახურების გაწევის გამართივების მიზნით, ბანკის დისტანციური მომსახურების არხში (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი და სხვა) მისი საიდენტიფიკაციო ნომრის შეყვანისას ბანკი უფლებამოსილია გამოაჩინოს შეზღუდული ინფორმაცია კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის შესახებ, ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ის ჩვენების გარეშე.

6.11. **ინტერნეტ-ბანკით სარგებლობის წესები**

6.11.1. კლიენტს გადაეცემა ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისათვის საჭირო მონაცემები (ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი), რომელთა გამოყენებითა და დამატებითი ავთენტიფიკაციით, კლიენტს ეძლევა ინტერნეტ - ბანკზე წვდომა. პაროლი ძალაშია გადაცემიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პაროლის თავიდან მისაღებად კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს.

6.11.2. კლიენტი ვალდებულია, შეცვალოს პაროლი ინტერნეტ ბანკით პირველი სარგებლობისთანავე. პაროლის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში, კლიენტის ინტერნეტ ბანკი იბლოკება და მის გასააქტიურებლად კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს.

6.11.3. ინტერნეტ ბანკის საშუალებით ტრანზაქციების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით, კლიენტს ეგზავნება ტრანზაქციის დამადასტურებელი ერთჯერადი კოდი. კოდი იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით კლიენტის მიერ შესაბამისი სერვისის გააქტიურებისას განცხადებაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე (შემდგომში “უსაფრთხოების კოდი”).

6.11.4. ტრანზაქციის განხორციელების დროს ბანკისგან გამოგზავნილი უსაფრთხოების კოდი აქტიურია კლიენტის მიერ მისი მოთხოვნიდან მომდევნო 1 (ერთი) წუთის განმავლობაში. უსაფრთხოების კოდის შეყვანით დასტურდება ტრანზაქციის განხორციელების უსაფრთხოება. უსაფრთხოების კოდის სამჯერ ზედიზედ არასწორად შეყვანის შემთხვევაში, იბლოკება უსაფრთხოების კოდი და მის აღსადგენად კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს.

6.11.5. კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მოწყობილობების (“Digipass Token“ და სხვა) მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და

სხვა სახის კოდების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული მოწყობილობები ან/და მათი მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდები კლიენტის მიზნით გახდება ხელმისაწვდომი/ცნობილი მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

6.11.6. ტრანზაქციის განხორციელებამდე კლიენტი ვალდებულია, დარწმუნდეს მის მიერ შევსებული რეკვიზიტებისა და ატვირთული დოკუმენტაციის სისწორეში. პასუხისმგებლობა ელექტრონული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის რეკვიზიტებისა და ტრანზაქციის განხორციელების მიზნით წარდგენილი (ატვირთული) დოკუმენტაციის სისწორეზე ეკისრება კლიენტს.

6.11.7. ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულებების მიღებამდე.

6.11.8. ინტერნეტ/მობაილ ბანკით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ან/და დაბლოკოს ინტერნეტ/მობაილ ბანკით განხორციელებული ტრანზაქცია.

6.11.9. ბანკი ასევე უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს ინტერნეტ/მობაილ ბანკზე წვდომა ან/და ინტერნეტ/მობაილ ბანკით ნებისმიერი მომსახურების გაწევა იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდა ეჭვი რომ კლიენტის ინტერნეტ/მობაილ ბანკით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

6.12. კლიენტი ვალდებულია:

6.12.1. ინტერნეტ ბანკით სარგებლობისათვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის ვარგის მდგომარეობაში;

6.12.2. ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას განუხრელად დაიცვას უსაფრთხოების წესები, ასევე უსაფრთხოდ შეინახოს მომხმარებლის სახელი, პაროლი და უსაფრთხოების კოდი;

6.12.3. ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით, პერიოდულად ან ბანკის მოთხოვნისამებრ ცვალოს მომხმარებლის პაროლი. არ გაანდოს მომხმარებლის პაროლი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის (მაგალითად მობილური ტელეფონის აპარატის) მეხსიერებაში;

6.12.4. დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდს და ინტერნეტ ბანკში მუშაობის დაწყებამდე შეამოწმოს უსაფრთხოების სერტიფიკატი;

6.12.5. თუ კლიენტს აქვს ეჭვი, რომ მისი პაროლი ცნობილი გახდა სხვა პირათათვის, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს ამის შესახებ;

6.12.6. ჯეროვნად მოუფრთხილდეს, წესრიგში იქონიოს და დაიცვას იმ ტექნიკური საშუალებების (მათ შორის, მობილური ტელეფონი, სიმ ბარათი) უსაფრთხოება, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას ბანკისგან სხვადასხვა სახის შეტყობინებების (მათ შორის, უსაფრთხოების კოდი) მიღებასთან;

6.12.7. შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და ბანკის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.bb.ge განთავსებული, ინტერნეტ ბანკით მომსახურების წესებითა და პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;

6.12.8. არ ენდოს ელ. ფოსტის მისამართზე ან/და SMS შეტყობინებით ან/და სხვა არხით მიღებულ შეტყობინებებს, რომელთა ავტორებიც ბანკის სახელით ითხოვენ პირადი ან/და საბანკო მონაცემების მიწოდება/განახლებას.

6.13. ბანკს უფლება აქვს:

6.13.1. ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

6.13.2. კლიენტის დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები;

6.13.3. მომხმარებლის სახელის ან მომხმარებლის პაროლის, ან უსაფრთხოების კოდის სამჯერ ზედიზედ არასწორად შეყვანის შემთხვევაში, დაბლოკოს კლიენტის ინტერნეტ ბანკთან კავშირი და მისი აღდგენა მოახდინოს კლიენტის ბანკისათვის მიმართვის საფუძველზე;

6.13.4. კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკით სარგებლობის მინიმუმ 1 (ერთი) თვის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, დაბლოკოს კლიენტის ინტერნეტ-ბანკი და მისი აღდგენა მოახდინოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტის მიერ მოხდება დავალიანებული თანხის სრულად დაფარვა;

6.13.5. არ განახორციელოს ტრანზაქცია, ვიდრე კლიენტის მიერ არ მოხდება შესაბამისი დოკუმენტაციის ბანკისათვის წარდგენა (ატვირთვა) ასეთი დოკუმენტის საჭიროების/ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში;

6.13.6. კლიენტის მიერ უსაფრთხოების კოდის ან ტრანზაქციის პინის არასწორად შეყვანის შემთხვევაში, არ განახორციელოს ტრანზაქცია;

6.13.7. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ინკასოს, ყადაღის, ან სხვა შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, გაუფრთხილებლად დაბლოკოს კლიენტის ინტერნეტ-ბანკი;

6.13.8. კლიენტის მომხმარებლის სახელით, ინტერნეტ ბანკის საშუალებით განსახორციელებელი ტრანზაქციის საექვოდ მიჩნევის შემთხვევაში, კლიენტის უსაფრთხოებისა და მისი უკეთ დაცულობის მიზნით, არ განახორციელოს ტრანზაქცია.

6.13.9. რისკების შემცირების მიზნით კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრულად დასაშვები პარამეტრები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადარიცხული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, ერთი მომხმარებლის მიერ შესრულებული ოპერაციების დადასტურების აუცილებლობა სხვა მომხმარებლის მიერ და სხვა);

6.13.10. კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, მათ შორის გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მოწყობილობების მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდების გამოყენება;

6.13.11. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მას ინტერნეტ-ბანკით საშუალებით ტრანზაქციების შესრულების შესაძლებლობა.

6.14. ბანკი პასუხს არ აგებს:

6.14.1. მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის მომხმარებლის სახელის, პაროლის, ტრანზაქციის პინის და/ან უსაფრთხოების კოდის გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე;

6.14.2. ანგარიშზე განხორციელებულ/განსახორციელებელ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მოკლე ტექსტური შეტყობინების (მათ შორის, უსაფრთხოების კოდის) მიუღებლობით გამოწვეულ შედეგზე/ზიანზე.

7. მომსახურება მობილური ბანკით

7.1. მობილური ბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩამოტვირთული (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის“) გამოყენებით:

7.1.1. დისტანციურად ონლაინ რეჟიმში საგადახდო ანგარიშ(ებ)ზე წვდომას;

7.1.2. საბანკო ინფორმაციის მიღებას;

7.1.3. სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში);

7.1.4. ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის ინიცირებას.

7.2. მობილური ბანკით მომსახურების მიღებისთვის კლიენტმა მობილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ბანკის საინფორმაციო მასალაში (მაგალითად, ბანკის ვებ-გვერდზე, ბანკის ფილიალში ან/და დისტანციურ არხებში და სხვა) მითითებული წყაროდან უნდა ჩამოტვირთოს და გააქტიუროს შესაბამისი პროგრამა.

7.3. მობილური ბანკით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

7.4. ამ ხელშეკრულების წინამდებარე მუხლის პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით.

7.5. კლიენტისათვის ინტერნეტ ბანკით მომსახურების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს ავტომატურად (ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე) უწყდება მობილური ბანკით მომსახურება.

7.6. კლიენტი საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 6.11.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

7.7. მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ კლიენტი ვალდებულია, წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ჩაწერილი პროგრამა.

7.8. პაროლის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი, ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შეტყობინების საფუძველზე აცნობოს ბანკს ამის შესახებ.

7.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით პაროლი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

7.10. ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის ან მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამჟღავნების ან ტელეფონის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი, ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე მობილური ბანკით მომსახურების შეჩერება კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება ბანკის მიერ წინასწარ შერჩეული კითხვების მეშვეობით.

7.11. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მობილური ბანკით მომსახურება ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობებით.

7.12. კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი ელექტრონული სერვისების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 6.11.1. ქვეპუნქტში აღნიშნული ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელითა და პაროლის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა პროგრამის მეშვეობით ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი.

7.13. ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს აქვს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად).

7.14. ინტერნეტ/მობაილ ბანკით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ან/და დაბლოკოს ინტერნეტ/მობაილ ბანკით განხორციელებული ტრანზაქცია.

7.15. ბანკი ასევე უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს ინტერნეტ/მობაილ ბანკზე წვდომა ან/და ინტერნეტ/მობაილ ბანკით ნებისმიერი მომსახურების გაწევა იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდა ეჭვი რომ კლიენტის ინტერნეტ/მობაილ ბანკით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

8. მუდმივი დავალება

8.1. კლიენტი უფლებამოსილი ბანკს მისცეს დავალება, რომლის საფუძველზეც ბანკი განახორციელებს რეგულარულ გადახდებს მიმღების სასარგებლოდ;

- 8.2. მუდმივი დავალების გასააქტიურებლად (მომსახურების მისაღებად) კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად.
- 8.3. მუდმივი დავალების გამოყენება ასევე შესაძლებელია კლიენტის ანგარიშებიდან კომუნალური მომსახურების საფასურის გადასახდელად ან სხვა დანიშნულებით ბანკის მიერ თანხების გადასარიცხად კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე.
- 8.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მუდმივი დავალების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქში დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 8.5. თუ მუდმივი დავალების განცხადებით მოთხოვნილი ოპერაციის შესრულების დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, მისი შესრულება მოხდება მომდევნო საბანკო დღეს.
- 8.6. თუ განცხადებით მოთხოვნილი ოპერაციის შესრულებისათვის საჭიროა თანხის კონვერტაცია სხვა ვალუტაში, კონვერტაცია მოხდება გადახდის შესრულების დღისათვის სს „ბაზისბანკში“ დაფიქსირებული კომერციული გაცვლითი კურსით.
- 8.7. ბანკის მიერ მუდმივი დავალების შესასრულებლად კლიენტი ვალდებულია:
- 8.7.1.1. მუდმივი დავალების განცხადებაში მითითებულ ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს გეგმიური გადახდისთვის საკმარისი ნაშთი და მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 8.7.1.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადახდის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.
- 8.8. კლიენტი უფლებამოსილია:
- 8.8.1. მიიღოს ინფორმაცია მისი ანგარიშებიდან მუდმივი დავალების საფუძველზე გადახდების განხორციელების შესახებ;
- 8.8.2. გააუქმოს მუდმივი დავალება მხოლოდ მორიგი გადახდის ოპერაციის შესრულებამდე (ოპერაციის თანხით მისი ანგარიშის დადებებამდე).
- 8.9. ბანკი ვალდებულია:
- 8.9.1. შეასრულოს კლიენტის მუდმივი დავალება ბანკის მიერ დადგენილი პირობებითა და წესით.
- 8.10. ბანკი უფლებამოსილია:
- 8.10.1. არ შეასრულოს მუდმივი დავალებით განსაზღვრული მორიგი საკრედიტო გადახდის ოპერაცია:
- 8.10.1.1. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
- 8.10.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში
- 8.10.1.3. ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;
- 8.10.1.4. ხელშეკრულების 8.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ცალმხრივად შეუწყვიტოს კლიენტს მუდმივი დავალება იმ შემთხვევაში, თუ ბანკსა და თანხის მიმღებ პირს შორის შეწყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. საბარათე ინსტრუმენტებით მომსახურება

- 9.1. კლიენტი უფლებამოსილია ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიიღოს ბანკისაგან საბარათე ინსტრუმენტი - კომერციული (ბიზნეს) ბარათი (შემდგომში „ბარათი“ ან „საბარათე ინსტრუმენტი“), რომლის მეშვეობით კლიენტის მიერ წერილობით განსაზღვრული პირის (შემდგომში „საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი“) მიერ შესაძლებელი იქნება სს „ბაზისბანკის“ მიერ გამოშვებული/ემიტირებული ბარათის, ასევე ბარათის ფუნქციონალით აღჭურვილი აქსესუარებისა (სტიკერი, სამაჯური, საათი და სხვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბანკის საგადახდო აპლიკაციის გამოყენება უშუალოდ კლიენტის ხარჯებისთვის და რომლის საშუალებით შესრულებული საბარათე ოპერაციების ასახვა მოხდება კლიენტის კუთვნილ ანგარიშზე.
- 9.2. საბარათე ინსტრუმენტის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი განცხადება წერილობით ან ბანკის დისტანციური მომსახურების არხის მეშვეობით, შეიტანოს/ჩარიცხოს ანგარიშზე შეუმცირებადი ნაშთი (ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში), ასევე საბარათე ინსტრუმენტის დამზადებისა და წლიური მომსახურების საკომისიო, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 9.3. ხელშეკრულების 9.2. პუნქტით განსაზღვრული თანხ(ებ)ის ჩარიცხვის შემდეგ, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკი დაამზადებს და საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს გადასცემს საბარათე ინსტრუმენტს და პინ-კოდს კონვერტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით, შესაბამის დოკუმენტაციასთან ან/და საინფორმაციო მასალასთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 9.4. იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი დამზადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში არ მოითხოვს საბარათე ინსტრუმენტს მაშინ აღნიშნული საბარათე ინსტრუმენტი ექვემდებარება განადგურებას, თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. საბარათე ინსტრუმენტის დამზადებისა და წლიური მომსახურების საკომისიო კლიენტს არ უბრუნდება. საბარათე ინსტრუმენტზე რიცხული შეუმცირებადი ნაშთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა თანხების კლიენტს დაუბრუნდება მისი მოთხოვნისთანავე.
- 9.5. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საბარათე ინსტრუმენტის დამზადებაზე/განახლებაზე მიზეზის მითითების გარეშე.
- 9.6. ამ მუხლით დადგენილი პირობები ვრცელდება ბანკის მიერ ემიტირებული ყველა ტიპის საბარათე ინსტრუმენტის (მათ შორის, ბანკის მიერ ემიტირებული პერსონიფიცირებული და არაპერსონიფიცირებული ბარათის, სადებეტო და საკრედიტო ბარათის) მიმართ, თუ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 9.7. ბანკის მიერ ემიტირებული ბარათებისა და სხვა საბარათე ინსტრუმენტების უსაფრთხოების პირობები, მოთხოვნები, შეზღუდვები, ბარათის ტიპიდან გამომდინარე შესაძლო რისკები, აგრეთვე საბარათე პროდუქტ(ებ)თან და მომსახურებებთან დაკავშირებული ტარიფები (საკომისიოები და მათი გამოთვლის პრინციპები) რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა

და ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bb.ge) განთავსებული საინფორმაციო მასალებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.8. ბანკი უფლებამოსილია საბარათე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით პერიოდულად განახორციელოს წამახალისებელი პროექტები/პროგრამები, რომლის წესები, პირობები, პროცედურები და სხვა საჭირო ინფორმაცია განთავსებული იქნება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bb.ge) ან/და სხვა სპეციალურ პორტალზე. ბანკი ასევე უფლებამოსილია, საბარათე ინსტრუმენტების (მათი მფლობელ(ებ)ის) ჩართვა მიმდინარე წამახალისებელ პროექტში/პროგრამაში განახორციელოს ავტომატურად, ხოლო კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პროექტში/პროგრამაში მონაწილეობაზე ბანკის სერვისცენტრებში და/ან დისტანციური მომსახურების არხების საშუალებით ინფორმირებით.

9.9. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით (მათ შორის, საბარათე ინსტრუმენტების დამატებითი პირობები, მხარეთა დამატებითი უფლებები და ვალდებულებები, მხარეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები), რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი წესებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც განთავსებული იქნება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.bb.ge).

9.10. საბარათე ინსტრუმენტით ოპერაციების წარმოების მიზნით, კლიენტს ბანკში ეხსენება ანგარიში (შემდგომში “საბარათე ანგარიში”)

9.11. საბარათე ანგარიშის გახსნისას მასზე აქტიურდება კლიენტის მიერ განცხადებში მითითებული ვალუტა ან/და ვალუტები და მიეთითება საბარათე ანგარიშის ძირითადი ვალუტა. სხვა ვალუტ(ებ)ის გააქტიურებისათვის, ანგარიშის მფლობელი წარუდგენს ბანკს განცხადებას ბანკში დადგენილი წესითა და ფორმით. საბარათე ანგარიშზე დამატებითი ვალუტის გააქტიურება ხორციელდება ბანკში დადგენილი წესით.

9.12. ბანკს უფლება აქვს, დააკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ერთ საბარათე ინსტრუმენტთან ან რამდენიმე საბარათე ინსტრუმენტს ერთ საბანკო ანგარიშთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს კლიენტი. ინფორმაცია საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ის შესახებ საბარათე სისტემაში მითითებულია პრიორიტეტულ ვალუტაში, იმ დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

9.13. საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებისას, თუ საბარათე ინსტრუმენტით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტის ანგარიშის გამოყენება, საბარათე ოპერაციების ანგარიშზე ასახვა (და შესაბამისი თანხის ჩამოჭრა) განხორციელდება პირველ რიგში იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც განხორციელდა ოპერაცია. თუ ტრანზაქციის განხორციელებისას ოპერაციის თანხა აღემატება შესაბამისი ვალუტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (ან ამ ვალუტაში საერთოდ არ ირიცხება ნაშთი), მოთხოვნილი თანხა სრულად ჩამოიჭრება აღნიშნული ანგარიშიდან, თუმცა მითითებულ ვალუტაში წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი არასაკმარისი თანხის ნაწილში. აღნიშნული უარყოფითი ნაშთი იფარება პირველი პრიორიტეტული ვალუტიდან თანხის კონვერტაციის გზით, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად. თუ პრიორიტეტულ ვალუტაში არ არსებობს საკმარისი ნაშთი, მაშინ უარყოფითი ნაშთის დარჩენილი ნაწილი იფარება მომდევნო რიგის პრიორიტეტული ვალუტიდან თანხის კონვერტაციის გზით, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

9.14. საბარათე ანგარიშზე გადახდის ოპერაცია ავტორიზებულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადამხდელის თანხმობა ოპერაციის განხორციელებაზე (თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობა და ტრანზაქციის „ავტორიზაცია“/„ავტორიზებული ტრანზაქცია“ გულისხმობს ოპერაციის დადასტურებას PIN კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით და/ან ამ ხელშეკრულების 9.66.7 პუნქტით გათვალისწინებული 3D უსაფრთხოების კოდის გამოყენებით და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით და/ან ბანკის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს/ბარათის მფლობელს და რომლის კონფიდენციალობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი/ბარათის მფლობელი.

9.15. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „არავტორიზებულ ტრანზაქციად“ მიიჩნევა ტრანზაქცია, რომელიც არ არის შესრულებული კლიენტის/ბარათის მფლობელის თანხმობით და არ არის ავტორიზებული/შესრულებულია ბარათის ფლობასთან / გამოყენებასთან / უსაფრთხოებასთან და კონფიდენციალობასთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების/მოთხოვნების კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ განზრახ დარღვევით და/ან უხეში გაუფრთხილებლობით და/ან კლიენტის/ბარათის მფლობელის ან მესამე პირის მიერ თაღლითური ქმედებით და/ან ისეთი ქმედებით, რითაც კლიენტმა ხელი შეუწყო არავტორიზებული ოპერაციის განხორციელებას. იმისათვის, რომ კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ დასახელებული/იდენტიფიცირებული არავტორიზებული ტრანზაქცია (მათ შორის არავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაცია/ტრანზაქცია) ჩაითვალოს ავტორიზებულად, კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა შესწავლის / ანალიზის შედეგად ბანკი შეძლებს ავტორიზებული ტრანზაქციის სტატუსის დადგენას. სხვა შემთხვევაში (მათ შორის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ საკმარისი მტკიცებულებების ბანკისთვის წარუდგენლობის და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების (ასეთის არსებობისას) დარღვევით წარდგენის შემთხვევაში), ტრანზაქცია ჩაითვლება არავტორიზებულად.

9.16. არავტორიზებულ ოპერაციაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება კლიენტს.

9.17. საბარათე ანგარიშებზე დაიშვება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის შიდამარეგლამენტირებული დოკუმენტებით ნებადართული ოპერაციები, მათ შორის, როგორც უშუალოდ საბარათე ანგარიშიდან, ასევე საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით და დისტანციური ან ელექტრონული მომსახურების სისტემების გამოყენებით.

9.18. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უფლებამოსილია საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით გამოიყენოს მის საბარათე ინსტრუმენტზე ხელმისაწვდომი თანხა მოხმარების საკომისიოების გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიო(ებ)ი.

- 9.19. საბარათე ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეზღუდულ იქნას ბანკის მხრიდან შესაბამისი დღიური ან სხვა ლიმიტების შემოღების გზით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს განაღდებას დღიური ან/და სხვა სახის ლიმიტის ცვლილებაზე.
- 9.20. საბარათე ანგარიშზე თანხა შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 9.21. საბარათე ინსტრუმენტით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახდენს ტრანზაქციის თანხის საავტორიზაციო ბლოკშიწასმას. საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან. საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ტრანზაქციების შესაბამისი თანხის საავტორიზაციო ბლოკში ჩასმა შესაბამის საბარათე ანგარიშზე ხდება ონ-ლაინ რეჟიმში, ხოლო ასახვა (ანგარიშსწორება) – გარკვეული პერიოდის შემდეგ, შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის ოპერატორის სისტემის წესების შესაბამისად (ვადა დამოკიდებულია ტრანზაქციის შინაარსზე/ტიპზე, აგრეთვე ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე).
- 9.22. დისტანციური საშუალებებით განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესრულებისას, საბარათე ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა ხდება შესაბამისი ტრანზაქციის შესრულების დღეს.
- 9.23. სს „ბაზისბანკის“ ბანკომატებში/პოს-ტერმინალებში და ელექტრონული კომერციის ობიექტების ქსელში ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ოპერაცია საბარათე ანგარიშზე აისახება მომდევნო საბანკო დღეს.
- 9.24. ელექტრონული კომერციის ობიექტებში შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ოპერაცია საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ.
- 9.25. საგადახდო სისტემების სერვისებით ბარათის მონაცემებით ჩარიცხული თანხა საგადახდო ინსტრუმენტზე ხელმისაწვდომი ხდება 30 წუთის განმავლობაში, ხოლო უშუალოდ საბარათე ანგარიშზე აისახება მოგვიანებით, მომდევნო სამუშაო დღეებში. საგადახდო ინსტრუმენტსა და საბარათე ანგარიშზე თანხის ასახვას შორის დროითმა სხვაობამ შეიძლება გამოიწვიოს არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობა.
- 9.26. ბანკი ვალდებულია დაიცვას ანგარიშის მფლობელთან დაკავშირებული საბარათე ანგარიშების ოპერაციების კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები, ან თუ საკმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები.
- 9.27. საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს, დროებით შეაჩეროს ტრანზაქცია და/ან საბარათე ინსტრუმენტის მოქმედება საექვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი). ბანკი ასევე უფლებამოსილია, დაბლოკოს (შეაჩეროს ოპერაციები) საბარათე ინსტრუმენტი ან/და საბარათე ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.
- 9.28. თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის პირველი წლის მომსახურების საკომისიო გადახდილი უნდა იქნას საბარათე ინსტრუმენტის დამზადებისას, მომდევნო წლის მომსახურების საკომისიო გადახდილი უნდა იქნას საბარათე ინსტრუმენტის დამზადებიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ. ხოლო, ყოველი მომდევნო წლის მომსახურების საკომისიო, ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში, ბანკში არსებული კლიენტის აქტიური ანგარიშ(ებ)იდან ჩამოიჭრება ავტომატურად (სრულად ან ნაწილ - ნაწილ).
- 9.29. თუ საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე კლიენტი ბანკში დადგენილი წესითა და ფორმით განუცხადებს ბანკს თანხმობას ბარათის განახლებაზე, საბარათე ანგარიშზე საკმარისი თანხის (საბარათე ინსტრუმენტის დამზადების საკომისიო, წლიური მომსახურების საკომისიო ან სხვა, თუ აღნიშნული წარმოადგენს შესაბამისი ბარათის განახლების წინაპირობას) არსებობის შემთხვევაში, საბარათე ინსტრუმენტის განახლება განხორციელდება საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვის ბოლო თვეს, კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ახალი შეთანხმების გაფორმების გარეშე.
- 9.30. საბარათე ინსტრუმენტის განახლებისათვის აუცილებელია კლიენტის განცხადება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, ბანკში დადგენილი ფორმითა და წესით.
- 9.31. კლიენტის რომელიმე ანგარიშზე საინკასო დავალების ან ყადაღის დადების აქტის არსებობის შემთხვევაში კლიენტის ანგარიშზე დაშვებული და აუთვისებელი საკრედიტო ლიმიტი ან/და ოვერდრაფტი ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადამხდელი წარუდგენს ბანკს თანხმობას საინკასო დავალების აღნიშნული თანხებით შესრულებაზე. საინკასო დავალების შესრულების ან გაუქმების (უკან გათხოვის) ან ყადაღის გაუქმების (უკან გათხოვის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად ადადგინოს საკრედიტო ლიმიტი ან/და ოვერდრაფტი.
- 9.32. ბანკში დადგენილი წესებითა და პროცედურით, საბარათე ინსტრუმენტის დამზადება, განახლება, დახურვა და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია როგორც ბანკში წერილობითი ან დისტანციური მომსახურების არხის მეშვეობით წარდგენილი განცხადებით, ასევე SMS კოდის საშუალებით, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 9.33. **საბარათე ანგარიში იხურება:**
- 9.33.1. კლიენტის წერილობითი/SMS კოდით დადასტურებული ან ბანკის მომსახურების დისტანციური არხის საშუალებით წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. საბარათე ანგარიშზე არსებული დადებითი ნაშთი და მინიმალური ნაშთი (არსებობის შემთხვევაში) კლიენტზე გაიცემა საბარათე ანგარიშზე გაცემული საბარათე ინსტრუმენტის გაუქმებისა და ბანკის მიმართ საბარათე ინსტრუმენტიდან/საბარათე ანგარიშიდან გამომდინარე ყველა დავალიანების დაფარვის შემდეგ. საბარათე ანგარიშის დახურვიდან 185 (ასოთხმოდახუთი) დღის განმავლობაში საბარათე ანგარიშზე ასახულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე პასუხისმგებელია ანგარიშის მფლობელი.

- 9.33.2. ბანკსა და საბარათე ინსტრუმენტის შესაბამისი საგადახდო სისტემას შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ კლიენტს და დაუბრუნოს მას საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხები. თანხის კლიენტის ანგარიშზე დაბრუნება მოხდება ბანკის მიმართ არსებული ყველა დავალიანების დაფარვის შემდეგ.
- 9.33.3. ამ ხელშეკრულებითა და/ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 9.34. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს საბარათე ინსტრუმენტზე მინიმალური ნაშთის არსებობა. მინიმალური ნაშთი არის თანხა, რომელიც დაბლოკილია საბარათე ანგარიშზე საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის განმავლობაში. მინიმალური ნაშთის ოდენობა განისაზღვრება საბარათე ინსტრუმენტის ტიპის მიხედვით შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტრანზაქციის შედეგად საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა აღმოჩნდება მინიმალურ ნაშთზე ნაკლები, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს ანგარიშზე თანხა მინიმალური ნაშთის ოდენობამდე.
- 9.35. საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის ან/და კლიენტის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ხოლო მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ბანკის მიერ მინიმალური ნაშთის გაუქმების ან/და კლიენტის მიერ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა საბარათე ინსტრუმენტის გაუქმების შემთხვევაში ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
- 9.36. კლიენტის ანგარიშზე გადახარჯვის (არასანქცირებული ოვერდრაფტის) შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე ტრანზაქციის განხორციელების შედეგად ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთის (დავალიანება) არსებობას, ბანკი საკუთარი ტექნიკური მოწყობის ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს გადახარჯვის შემთხვევის დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ატყობინებს კლიენტს გადახარჯვის ფაქტის, გადახარჯვის თანხის ოდენობის, დასარიცხი/დარიცხული სარგებლისა და ნებისმიერი ხარჯის, პროცენტის ან ჯარიმის შესახებ, რაც შეიძლება დაერიცხოს დავალიანებას, ხოლო კლიენტი ვალდებულია შეტყობინებიდან 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში შეავსოს უარყოფითი ნაშთი ან თანხა მინიმალური ნაშთის ოდენობამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრულად დაფაროს არასანქცირებულ ოვერდრაფტზე დარიცხული სარგებელი და ბანკის შეტყობინებაში მითითებული სხვა ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 9.37. არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი განისაზღვრება არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის ბანკის მიერ არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად. გადახარჯულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 (ოცდაათი) დღით. პროცენტის დარიცხვა წარმოებს ოვერდრაფტის წარმოშობის თარიღიდან მის ფაქტიურად დაფარვის დღემდე.
- 9.38. იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ინსტრუმენტი მიბმულია მულტისავალუტო ანგარიშზე და ერთ-ერთი ვალუტის ანგარიშზე არსებობს არასანქცირებული ოვერდრაფტი, აღნიშნულ ბარათზე დაკავშირებულ რომელიმე ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში ან თანხის შეტანისას/ჩარიცხვისას, ანგარიშებს შორის თანხის კონვერტაცია ბანკის მხრიდან განხორციელდება ცალმხრივად (უაქცეპტო წესით), თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ბანკის წინაშე არსებული კლიენტის შესაბამისი დავალიანების დასაფარად/ვალდებულების შესასრულებლად.
- 9.39. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ბანკის მიერ საბარათე ანგარიშის დაკრედიტება შეცდომით, ანგარიშის მფლობელზე ოვერდრაფტის გაცემის განზრახვის გარეშე (შეცდომით ჩარიცხული თანხა), ანგარიშის მფლობელი ვალდებულია თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში თანხა დაუბრუნოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაერიცხება ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული და გამოყენებული თანხის 0.05%-ის (ნული მთელი ხუთი მეასედი პროცენტის) ოდენობით ყოველ დღეზე.
- 9.40. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შესაბამისი თანხები კლიენტის სხვა ანგარიშებიდან ბანკში და მიმართოს ისინი ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად. თუ ოპერაციის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ოპერაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღის თარიღით, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ გადასახდელი ყველა გადასახდელი, მათ შორის გადასახდელები, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მომდევნო საბანკო დღისთვის.
- 9.41. ბანკი უფლებამოსილია, შეზღუდოს საბარათე ინსტრუმენტით ოპერაციების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის პოლიტიკით და/ან შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ, თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის დამატებითი თანხმობის მიღებამდე, რომელიც გაცხადებული უნდა იყოს ბარათის გააქტიურებამდე. ამასთან, კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული თანხმობა, რისთვისაც ბანკში დადგენილი წესით უნდა მიმართოს ბანკს წერილობითი ან/და ბანკის მომსახურების დისტანციური არხის საშუალებით გაკეთებული განცხადებით.
- 9.42. ბანკის მიერ ემიტირებული ბანკის ლოგოტიპიანი პლასტიკური ბარათ(ებ)ი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
- 9.43. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი არის ბარათით მოსარგებლე, იდენტიფიცირებული პირი (კლიენტის მიერ განსაზღვრული ფიზიკური პირი), რომელიც ფლობს პერსონიფიცირებულ ბარათს. ბარათის მფლობელის უფლებას პლასტიკურ ბარათზე განსაზღვრავს მასზე ამოტივტირებული სახელი და გვარი, ან სახელის ინიციალი და გვარი, ასევე პლასტიკური ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში ჩაწერილი პლასტიკური ბარათის მფლობელის სახელი და გვარი.
- 9.44. საბარათე ინსტრუმენტის PIN კოდი კონფიდენციალურია და ცნობილია მხოლოდ საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისათვის. PIN კოდის დავიწყების შემთხვევაში საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს ბანკს და მოახდინოს PIN კოდის განახლება შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტისთვის ბანკში დადგენილი წესისა და პროცედურის შესაბამისად.
- 9.45. საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათის) მფლობელი ვალდებულია, გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN კოდი (პინის კონვერტით მიღებისას); არ არის რეკომენდირებული PIN

კოდის და პლასტიკური ბარათის ერთად მოთავსება; დაუშვებელია საბარათე ინსტრუმენტის სხვა პირისათვის გადაცემა (გამჟღავნება); ნებისმიერ სადავო ოპერაციაზე, რომლის მიზეზიც იქნება საბარათე ინსტრუმენტის დაკარგვა, პინის გამოყენება და ა.შ. პასუხისმგებლობა (ფინანსური) ეკისრება ბარათის მფლობელს/კლიენტს.

9.46. ბანკომატში PIN კოდის სამჯერ არასწორად აკრეფისას, შესაძლებელია, პლასტიკური ბარათი ავტომატურად დაკავდეს ბანკომატის მიერ ან/და დაიბლოკოს. პლასტიკური ბარათის დაკავების ან დაბლოკვის შემთხვევაში პლასტიკური ბარათის მფლობელი/კლიენტი უნდა დაუკავშირდეს ბანკს. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს სხვა ბანკის ბანკომატში პლასტიკური ბარათის დაკავების საკომისიო და/ან ახალი პლასტიკური ბარათის (სურვილისამებრ) დამზადების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9.47. ბანკი ვალდებულია განიხილოს კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის პრეტენზია სს “ზაზისბანკის” ბანკომატის მიერ თანხის დაკავების შესახებ და პრეტენზიის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს ბანკომატის მიერ თანხის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დააკმაყოფილოს პრეტენზია, ჩარიცხოს თანხა კლიენტის საბარათე ანგარიშზე.

9.48. ბანკი ვალდებულია განიხილოს კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის პრეტენზია სს “ზაზისბანკის” ბანკომატის მიერ პლასტიკური ბარათის დაკავების შესახებ და პრეტენზიის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს კლიენტს/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს ბანკომატის მიერ პლასტიკური ბარათის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დააკმაყოფილოს პრეტენზია და ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუბრუნოს პლასტიკური ბარათი საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს/კლიენტს შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებით. სხვა ბანკის პლასტიკური ბარათის შემთხვევაში, პლასტიკური ბარათის ემიტენტ ბანკთან შეთანხმების შესაბამისად, პლასტიკური ბარათი გადაეცემა საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს ან ემიტენტ ბანკს ზემოთ აღნიშნული წესით.

9.49. პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე ამოტვიფრული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.

9.50. საბარათე ინსტრუმენტით ანგარიშსწორებისას სავაჭრო ობიექტის მომსახურე პერსონალს უფლება აქვს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ხოლო მისი წარუდგენლობის შემთხვევაში, შეაჩეროს ტრანზაქცია (მომსახურება), რაზედაც ბანკი პასუხისმგებელი არ არის.

9.51. საბარათე ინსტრუმენტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი უკანონო მიზნისათვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.52. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ თუ ის ფლობს ბანკის მიერ ემიტირებულ ისეთ პლასტიკურ ბარათს და/ან მასთან დაკავშირებულ საგადახდო ინსტრუმენტს (მაგალითად, სტიკერი ან სხვა), რომელიც იძლევა საბარათე ინსტრუმენტსა და საბარათე ინსტრუმენტის წამკითხველ მოწყობილობას შორის უკონტაქტო კავშირის დამყარებით ტრანზაქციის განხორციელების შესაძლებლობას, ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ასეთი საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ტრანზაქციების ავტორიზაცია ხდება ბარათის პინ კოდის გარეშე, მხოლოდ ბარათის და ბარათის წამკითხველს შორის დისტანციური კავშირის დამყარების საშუალებით. ლიმიტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bb.ge) განთავსებულ საინფორმაციო მასალებში, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.53. კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ვალდებულია, საბარათე ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ თავადვე დაბლოკოს საბარათე ინსტრუმენტი ბანკის დისტანციური მომსახურების არხიდან ან შეატყობინოს ბანკს აღნიშნულის შესახებ წერილობით, ბანკის დისტანციური მომსახურების არხით და/ან ტელეფონის (ნომერზე +99532 2 922 922) მეშვეობით.

9.54. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და წესების დარღვევის, ასევე ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს ან დაბლოკოს საბარათე ინსტრუმენტი(ებ)ი ნებისმიერ დროს.

9.55. **საბარათე ინსტრუმენტის განთავსება სტოპ-სიაში.** ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების შეჩერება (ბლოკირება), კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მითითებით, საბარათე ინსტრუმენტის ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სტოპ-სიაში შეყვანით. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სტოპ-სია არის, იმ ბარათების საერთაშორისო ან ადგილობრივი სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

9.56. ადგილობრივი სტოპ-სია უზრუნველყოფს საბარათე ინსტრუმენტის ბლოკირებას საბარათე ანგარიშზე განსახორციელებელი ოპერაციებისათვის მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისათვის (გარდა ოფლაინ ოპერაციებისა) მსოფლიოს ნებისმიერ ტერმინალზე (ბანკომატი, ბანკის ტერმინალი, სავაჭრო ტერმინალი, ელექტრონული კომერციის ობიექტი);

9.57. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის მოთავსება უზრუნველყოფს საბარათე ინსტრუმენტის ბლოკირებას ოფლაინ ოპერაციებისათვის, დაბლოკვიდან 14 დღის განმავლობაში, შესაბამისი რეგიონ(ებ)ისთვის. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის სურვილის მიხედვით, თავიდან უნდა მოხდეს საბარათე ინსტრუმენტის მოთავსება საერთაშორისო სტოპ-სიაში. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბლოკირების განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებულ ტრანზაქციებზე. საერთაშორისო სტოპ-სიაში საბარათე ინსტრუმენტის ჩასმა ხდება შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემების პროცედურებისა და წესების შესაბამისად, დადგენილი განრიგით კონკრეტული რეგიონ(ებ)ის მიხედვით და კონკრეტული ვადით. საბარათე ინსტრუმენტის საერთაშორისო სტოპ-სიაში მოთავსება შესაბამისი საბარათე სისტემის მიერ ხორციელდება.

9.58. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის სათანადო შეტყობინების საფუძველზე, საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების შეჩერება (ბლოკირება) ხდება შემდეგ ვადებში:

9.58.1. ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსება – ბანკის დისტანციური მომსახურების არხის საშუალებით ან სერვისცენტრში კლიენტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ, მოთხოვნის შესრულებისთვის საჭირო გონივრულ ვადაში;

9.58.2. საერთაშორისო სტოპ-სიაში განთავსება - ბანკის თანამშრომლის ინფორმირებიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში;

9.59. საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი/კლიენტი პასუხისმგებელია ადგილობრივ სტოპ-სიაში ბლოკირებულ ბარათზე განხორციელებულ ოფლაინ ტრანზაქცია(ებ)ზე. ამასთან, ბანკი პასუხს არ აგებს საბარათე ინსტრუმენტის დაკარგვის/მოპარვის შესახებ შეტყობინებამდე და საბარათე ინსტრუმენტის ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსებამდე საბარათე ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციებზე. საბარათე ინსტრუმენტის ადგილობრივ სტოპ-სიაში განთავსებისას, კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ვალდებულია, ბანკს აუწყოს ბლოკირებული საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქციების თანხა.

9.60. ბარათის მფლობელი/კლიენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს ბლოკირებულ ბარათზე ბლოკირების პერიოდში განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქცია ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის შემთხვევაში.

9.61. კლიენტი ვალდებულია, ბარათის სტოპ-სიაში შესაყვანად, გადაიხადოს სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო, აგრეთვე, ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხორციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით.

9.62. კლიენტს/ბარათის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი სურვილით გააუქმოს საბარათე ინსტრუმენტი. ამისათვის მან ბანკს უნდა მიმართოს წერილობით ან დისტანციური არხებით წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

9.63. კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უფლებამოსილია, საბარათე ინსტრუმენტის სტოპ-სიაში შეყვანა განხორციელოს ამ ხელშეკრულების 9.53. ქვეპუნქტით დადგენილი ერთ-ერთი ფორმით ბანკისთვის მიმართვის გზით. ბანკი პასუხს არ აგებს ცრუ შეტყობინების შედეგად საბარათე ინსტრუმენტის ბლოკირებაზე (ბლოკირებით დამდგარ შედეგებზე).

9.64. ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს საგადახდო ინსტრუმენტი ამავე ინსტრუმენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული საფუძვლით, საბარათე ინსტრუმენტის თაღლითური ან/და არაუფლებამოსილი გამოყენების შესახებ ეჭვის არსებობისას, აგრეთვე საკრედიტო ლიმიტის მქონე საბარათე ინსტრუმენტის შემთხვევაში კლიენტის მიერ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის მნიშვნელოვნად ზრდის შემთხვევაში და შეატყობინოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში საბარათე ინსტრუმენტის დაბლოკვამდე, მაგრამ არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.65. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.65.1. ბანკი ვალდებულია:

9.65.1.1. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ სათანადო წესით მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია საბარათე ინსტრუმენტით და/ან საბარათე ანგარიშზე შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, ამონაწერის სახით), შესაბამისი სერვისისთვის ბანკში დადგენილი ტარიფებით;

9.65.1.2. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საბარათე ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

9.65.1.3. არ გახადოს საბარათე ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ ინსტრუმენტის მფლობელისა;

9.65.1.4. ბანკში დადგენილი წესით მიიღოს წერილობითი ფორმით წარდგენილი ან/და ბანკის მომსახურების დისტანციური არხით კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ დაფიქსირებული, 9.53. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი არ არის პასუხისმგებელი მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული საბარათე ინსტრუმენტის, ასევე მის მიერ უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის კლიენტის/ბარათის მფლობელის დანაშაულებრივი ან განზრახი ქმედებით. ბანკი ასევე ვალდებულია, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას მიღების დასტური, თუ შეტყობინების მიღებიდან გასული არ არის 18 (თვრამეტი) თვეზე მეტი;

9.65.1.5. საკუთარ თავზე აიღოს საგადახდო ინსტრუმენტის ან/და მისი პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლებისა და საშუალებების გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

9.65.2. კლიენტი ვალდებულია

9.65.2.1. დეტალურად გააცნოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის უფლება-მოვალეობები და მათი დარღვევის შედეგები. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი სრულად აგებს პასუხს დამდგარ შედეგებსა და გამოწვეულ ზიანზე;

9.65.2.2. აანაზღაუროს ბანკის მიერ დაწესებული საკომისიო და გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ საბარათე ინსტრუმენტის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

9.65.2.3. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებები.

9.65.3. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ვალდებულია:

9.65.3.1. გამოიყენოს საბარათე ინსტრუმენტი შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

9.65.3.2. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის შიდა რეგულაციებით დადგენილი პროცედურები და წესები;

9.65.3.3. დაიცვას მისთვის გაცემული საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს შესაბამისი ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა; არ დაუშვას უცხო პირების მიერ მისი საბარათე ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობა;

9.65.3.4. საბარათე ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოჩენისთანავე მოახდინოს საბარათე ინსტრუმენტის დაბლოკვა ბანკის შესაბამისი დისტანციური მომსახურების არხიდან, ან შეატყობინოს ამის თაობაზე ბანკს 9.53. ქვეპუნქტის შესაბამისად.

9.65.4. კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უფლებამოსილია

9.65.4.1. საბარათე ანგარიშზე არაავტორიზებული ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, გაასაჩივროს ბანკში შესაბამისი ტრანზაქცია ხელშეკრულების 9.66.8. პუნქტით დადგენილი წესით;

9.65.4.2. წაუყენოს ბანკს პრეტენზია არაავტორიზებული გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 75 (სამოცდათხუთმეტი) დღეზე მეტი.

9.65.4.3. ბანკისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მიმართვის საფუძველზე:

9.65.4.3.1. დაბლოკოს საბარათე ინსტრუმენტი;

9.65.4.3.2. გამოცვალოს საბარათე ინსტრუმენტის პინ კოდი;

9.65.4.3.3. გააუქმოს/დახუროს საბარათე ინსტრუმენტი;

9.65.4.3.4. დაიბრუნოს ბანკომატის მიერ დაკავებული პლასტიკური ბარათი.

9.65.5. კლიენტი უფლებამოსილია

9.65.5.1. ბანკისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მიმართვის საფუძველზე:

9.65.5.1.1. დაამატოს საბარათე ანგარიშზე სხვა (პროდუქტით განსაზღვრული) ვალუტა;

9.65.5.1.2. შეცვალოს ვალუტის პრიორიტელობა;

9.65.5.1.3. გასცეს დასტური ვადაგასული საბარათე ინსტრუმენტის განახლებაზე/ახალი ბარათის დამზადებაზე;

9.65.5.1.4. მოითხოვოს დაბლოკილი საგადახდო ინსტრუმენტის განბლოკვა;

9.65.5.1.5. დახუროს საბარათე ანგარიში.

9.66. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.66.1. კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი დანაშაულებრივი ქმედებით, ამ ხელშეკრულების 9.65.2. - 9.65.3 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით, ან/და იმ შემთხვევაში თუ:

9.66.1.1. კლიენტი გამოიყენებს საბარათე ინსტრუმენტს ამ საბარათე ინსტრუმენტისათვის დადგენილი პირობების დარღვევით;

9.66.1.2. არ დაიცვას მისთვის გაცემული საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, არ უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების ან/და პერსონიფიცირებული მონაცემების დაცვა;

9.66.1.3. საბარათე ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენისთანავე არ შეატყობინოს ამის თაობაზე ბანკს ან ბანკის მიერ განსაზღვრულ პირს;

9.66.2. კლიენტი ვალდებულია, არაავტორიზებული ან არასწორად შესრულების ოპერაციის შესახებ, ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან დაუყოვნებლივ წერილობით ან/და დისტანციური მომსახურების არხის საშუალებით მიმართოს ბანკს.

9.66.3. კლიენტი არ არის პასუხისმგებელი არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ ბანკმა არ უზრუნველყო ამ ხელშეკრულების 9.53. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღება, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის დანაშაულებრივი ან განზრახვი ქმედებით.

9.66.4. ბანკი პასუხისმგებელია დამდგარ ზიანზე თუ მის მიერ განზრახ ან ბრალეული ქმედებით არ შესრულდება გადახდის ოპერაცია, ან შესრულდება არასწორად ან ვადის დარღვევით.

9.66.5. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კლიენტს გასაჩივრების შედეგამდე წინასწარ ჩაურიცხავს თანხას და თუ შესაბამისი საბარათე სქემის წესებითა და ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად დადგინდება, რომ კლიენტი ვალდებულია ბანკს დაუბრუნოს აღნიშნული თანხა ან მისი ნაწილი, კლიენტის საბარათე ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში კლიენტის ინფორმირების შემდეგ უაქცეპტოდ ჩამოჭრის აღნიშნულ თანხას, თუ ნაშთი არასაკმარისია თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ განხორციელდება აღნიშნული თანხის დაბრუნება, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის, აგრეთვე კლიენტისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე, კლიენტის მიმდინარე, საბარათე ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე დაუშვას არასანქცირებული ლიმიტი აღნიშნული თანხის ოდენობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9.66.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

9.66.6.1. საბარათე ინსტრუმენტის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიზეზით არის გამოწვეული. მათ შორის, კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ საბარათე ინსტრუმენტზე მონიტორინგის გაუქმების მოთხოვნის მოქმედების პერიოდში.

9.66.6.2. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადაო სიტუაციებზე.

9.66.6.3. ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია დაკარგული/მოპარული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული საბარათე ინსტრუმენტით, თუ საბარათე ინსტრუმენტის მფლობელმა არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული საბარათე ინსტრუმენტის დროული ბლოკირება.

9.66.6.4. ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ, თუ ტრანზაქცია ავტორიზებულია.

9.66.6.5. მაღალრისკიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან განხორციელებულ ოპერაციებზე, თუ კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ 9.41. პუნქტის შესაბამისად, ბანკში წარდგენილი იყო თანხმობა ოპერაციების განხორციელებაზე.

9.66.6.6. უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საგადახდო ინსტრუმენტით, პინის და ჩიპის გარეშე, ლიმიტის ფარგლებში გატარებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

9.66.6.7. ბანკის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების ზომაზე კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ უარის თქმის შემთხვევაში დამდგარი შედეგისთვის (ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოების ზომაზე უარის თქმის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებელია კლიენტი).

9.66.6.8. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ ოპერაცია განხორციელებულია 9.53. ქვეპუნქტის შესაბამისად ბანკის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ (თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის დანაშაულებრივი ან განზრახი ქმედებით).

9.66.6.9. თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ/ვერ მოხდა საბარათე ინსტრუმენტით თანხის განაღდება ბანკის სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში; აგრეთვე, ბანკი არ არის პასუხისმგებელი სს „ბაზისბანკის“ ბანკომატების ქსელის გარეთ ტრანზაქციის შესრულებისათვის სხვა პირის/საფინანსო ინსტიტუტის მიერ ჩამოწერილ საკომისიოებსა და სხვა შესრულებულ ქმედებებზე.

9.66.6.10. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ 3D უსაფრთხოების სერვისით სარგებლობის შედეგებზე (მათ შორის, ერთჯერადი კოდის არასწორად შეყვანის გამო ტრანზაქციის შეუსრულებლობა, კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით ერთჯერადი კოდის მიუღებლობა, ტრანზაქციის შესრულების შეფერხება და ა.შ.).

9.66.7. საბარათე ინსტრუმენტის 3D უსაფრთხოება

9.66.7.1. 3D უსაფრთხოება წარმოადგენს დაცვის დამატებით საშუალებას, კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული საბარათე ინსტრუმენტით ელექტრონული კომერციის ობიექტებში გადახდის/გადარიცხვის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ინსტრუმენტისთვის განსაზღვრული 3D უსაფრთხოების შესაბამისი მხარდაჭერით ასევე აღჭურვილია გადახდის/გადარიცხვის განმახორციელებელი ვებ-გვერდი. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტისთვის გათვალისწინებულია 3D უსაფრთხოება, აღნიშნულის შესახებ მითითებული იქნება შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის შესახებ ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bb.ge) განთავსებულ საინფორმაციო მასალაში.

9.66.7.2. საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით ელექტრონული კომერციის ობიექტებში გადახდის/გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მიღებული ერთჯერადი კოდით დამატებით დადასტურების განხორციელების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ინსტრუმენტისთვის განსაზღვრული 3D უსაფრთხოების შესაბამისი მხარდაჭერით ასევე აღჭურვილია გადახდის/გადარიცხვის განმახორციელებელი ვებ-გვერდიც. გადახდის/გადარიცხვის ოპერაციის განხორციელების დასადასტურებლად, ერთჯერადი კოდი იგზავნება საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ სპეციალურად ამ მიზნით ბანკში დაფიქსირებულ შესაბამის სატელეფონო ნომერზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - ბანკში წარდგენილი განცხადებით კლიენტის მიერ დაფიქსირებულ უახლეს საკონტაქტო სატელეფონო ნომერზე..

9.66.8. საჩივრის განხილვა

9.66.8.1. ბანკი განიხილავს კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარს საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული არავტორიზებული ოპერაციის შესახებ, მისი შესრულების თარიღიდან 75 კალენდარული დღის ვადაში, ბანკში დადგენილი წესითა და პროცედურით. აღნიშნულ ვადაში პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში, ტრანზაქცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ამასთან, მფლობელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს პლასტიკური ბარათი და/ან სხვა დოკუმენტები/ინფორმაცია, რომელსაც ბანკი მოითხოვს საჩივრის განხილვის მიზნით.

9.66.8.2. ბანკში საჩივრის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით ან/და ბანკის მომსახურების დისტანციური არხის საშუალებით.

9.66.8.3. კლიენტი/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ვალდებულია, საჩივართან ერთად წარუდგინოს ბანკს მის მიერ გასაჩივრებული ოპერაციის შესრულების დადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ასევე შესაბამის ტრანზაქციასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული და/ან ბანკის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

9.66.8.4. საჩივრის განხილვა მოხდება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი აცნობებს კლიენტს/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადას, დაგვიანების მიზეზის დასაბუთებით.

9.66.8.5. კლიენტის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და განმცხადებლისთვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღეს.

9.66.8.6. ბანკი უფლებამოსილია, რომ საქართველოში ბარათით შესრულებული სადავო ტრანზაქციის განხილვის პროცესში დაუკავშირდეს ექვარიერს ან საბარათე ოპერაციაში ჩართულ სხვა მხარეს განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკისთვის სადავო ტრანზაქციის ყველა დეტალი და გარემოება ცნობილია.

9.66.9. კონვერტაცია

9.66.9.1. თუ გადახდის ოპერაცია ხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ კლიენტის ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა მოხდება კონვერტაციის გზით, შემდეგი კურსით:

9.66.9.2. თუ გადახდის ოპერაცია ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კონვერტაცია მოხდება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით;

9.66.9.3. თუ გადახდის ოპერაცია ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კონვერტაცია მოხდება კურსით, რომლის განაკვეთიც დგინდება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს ბანკის მიერ დაწესებულ კომერციულ კურსზე 1%-ის (ერთი პროცენტული პუნქტი) დამატებით.

9.66.9.4. თუ გადახდის ოპერაცია ხორციელდება საგადახდო სისტემის (“ვიზა“ (VISA), “მასტერქარდ“ (MasterCard), “იუნიონ ფეი“ (Union Pay) ანგარიშსწორების ვალუტ(ებ)ისაგან განსხვავებულ ვალუტაში, კონვერტაციის კურსი დგინდება და კონვერტაცია ხორციელდება შესაბამისი საგადახდო სისტემის მიერ, რასაც ბანკის მხრიდან საკომისიოს სახით ემატება გადახდის ოპერაციის თანხის 2% (ორი პროცენტი). ამასთან, თუ შესაბამისი საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტა წარმოადგენს საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტას, მაშინ ბანკის მიერ საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტაში კონვერტაცია მოხდება კურსით, რომლის განაკვეთიც განისაზღვრება საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს ბანკის მიერ დაწესებულ კომერციულ კურსზე 1%-ის (ერთი პროცენტული პუნქტი) დამატებით.

9.66.10. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით ბანკომატებში, სავაჭრო და ბანკის პოს-ტერმინალებში, ელექტრონული კომერციის ობიექტებში ტრანზაქციების, ასევე ბანკში ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე, ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, თანხის დაბლოკვა მოხდება საბარათე ინსტრუმენტის ძირითად ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ (ამავე ხელშეკრულების 9.21. პუნქტის შესაბამისად) აისახება კლიენტის ანგარიშზე. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა ხდება შესაბამისი ტრანზაქციის გატარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ამიტომ თანხის დაბლოკვის დროს არსებული კურსი და საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული კურსი შესაძლებელია იყოს განსხვავებული, რამაც შესაძლებელია განაპირობოს ანგარიშზე დაბლოკილ და ჩამოჭრილ თანხებს შორის სხვაობა.

9.66.11. კლიენტის ანგარიშზე შორის ვალუტის კონვერტაცია ხორციელდება ყოველთვის ოპერაციის დამუშავების მომენტში მოქმედი კომერციული კურსის შესაბამისად. გადახდის ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის სქემები (სხვადასხვა მაგალითის/დაშვების გათვალისწინებით) განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე bb.ge/docs და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.66.12. კლიენტი უფლებამოსილია, მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისა და კონვერტაციის კურსის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ბანკის სერვისცენტრებისა და კლიენტთა მომსახურების დისტანციური არხების მეშვეობით.

10. SMS ბანკინგი. საბანკო ოპერაციის SMS კოდით დადასტურება. ტრანზაქციის შესრულება და მომსახურების მიღება ელექტრონული ლინკიდან დადასტურებით.

10.1. SMS ბანკინგით სარგებლობის ზოგადი წესები

10.1.1. SMS ბანკინგი არის დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლის საშუალებითაც კლიენტს, ბანკში ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი განცხადების საფუძველზე წარდგენილი მობილური ტელეფონის ნომრის (შემდგომში “ავტორიზებული ნომერი”) მეშვეობით შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს ამ მუხლით გათვალისწინებული საბანკო სერვისებით. SMS იგზავნება კლიენტის მიერ ბანკისათვის გაცხადებულ (უახლეს განცხადებაში დაფიქსირებულ) ტელეფონის ნომერზე. ავტორიზებული ნომრის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ბანკის მომსახურების წერტილში ვიზიტით. SMS ბანკინგით კლიენტი მიიღებს საბანკო ინფორმაციას წინასწარ დადგენილი სტანდარტული შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინების (შემდგომში “SMS”) საშუალებით, მათ შორის ინფორმაციას საკუთარ საბანკო ანგარიშებზე შესრულებული ოპერაციების, ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის, საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის შესახებ, ასევე მოითხოვოს და მიიღოს მისთვის საჭირო სხვა საბანკო ინფორმაცია (მათ შორის, ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ი, ვალუტის კურს(ებ)ი და ა. შ.).

10.1.2. კლიენტს SMS ბანკინგით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა ხსენებული მომსახურების მომხმარებლად დარეგისტრირების შემდეგ. ამასთან, კლიენტს, რომელიც მიმართავს ბანკს ტრანზაქციის შესრულების ან/და მომსახურების მიღების მიზნით, ან/და სარგებლობს შესაბამისი მომსახურებ(ებ)ით, ავტომატურად უაქტიურდება SMS ბანკინგით მომსახურების სერვისი, რისთვისაც აუცილებელია, კლიენტის ავტორიზებული ნომერი დარეგისტრირებული იყოს ბანკის პროგრამაში. ამ მომსახურების გაუქმებისთვის აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მოქმედების შესრულება:

10.1.2.1. ბანკის მომსახურების სერვისცენტრში ვიზიტი;

10.1.2.2. ბანკის სატელეფონო მომსახურების სერვისცენტრში დარეკვა;

10.1.2.3. ბანკის დისტანციური მომსახურების არხის (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი) საშუალებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი პერსონალური პარამეტრების გვერდიდან.

10.1.3. SMS ბანკინგის მომსახურება ხორციელდება კლიენტის მიერ მითითებული სატელეფონო ნომრის საშუალებით.

10.1.4. ბანკი და კლიენტი ცნობენ და ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ SMS ბანკინგის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას და შესრულებულ ტრანზაქციებს გააჩნიათ ანგარიშის განკარგვისა და ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ქალაქის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

10.1.5. SMS ბანკინგის საშუალებით დაშვებული ტრანზაქციების შესრულებასა და მომსახურებ(ებ)ის მიღებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები, ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

10.1.6. ამ მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას SMS ბანკინგით მომსახურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

10.1.7. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებას ანიჭებს ბანკს, SMS ბანკინგით მომსახურების მიწოდების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კლიენტის პერსონალური მონაცემები), მიაწოდოს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სატელეკომუნიკაციო (მობილურ) ოპერატორ(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

10.1.8. პასუხისმგებლობა SMS ბანკინგით განხორციელებულ ტრანზაქციებზე / ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგებზე ეკისრება კლიენტს.

10.2. მომსახურების საზღაურის გადახდა. მომსახურების შეჩერება/შეწყვეტა

10.2.1. SMS ბანკინგის საკომისიო განისაზღვრება ტარიფებით, რაც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.bb.ge), ხოლო გადახდა ხდება ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო კალენდარული თვის არაუგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა (ამასთან, საკომისიო სრულად გადაიხდება არასრული საანგარიშო თვისთვისაც).

10.2.2. კლიენტი ვალდებულია, საანგარიშო თვის მომდევნო კალენდარული თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, უზრუნველყოს საკუთარ ანგარიშ(ებ)ზე საკომისიოს დასაფარად საკმარისი, შესაბამისი ფულადი ნაშთის არსებობა.

10.2.3. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული თანხა მიმართოს შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში დაიფარება საკომისიო, ხოლო შემდგომ შესრულდება მოთხოვნილი ტრანზაქცია.

10.2.4. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო თვის მომდევნო კალენდარული თვის ბოლომდე, შეუძლებელი იქნება კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან SMS ბანკინგის საკომისიოს სრულად ჩამოწერა, საკომისიოს დარიცხვა შეწყდება, ხოლო კლიენტს შეუჩერდება SMS ბანკინგის მომსახურება; თუ შეჩერებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში დავალიანება სრულად დაიფარება, შესაბამისი მომსახურება აღდგება ავტომატურად; აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება წყდება.

10.2.5. მომსახურება შესაძლებელია შეჩერდეს კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის თაობაზე კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე. თუ შეჩერებული მომსახურება არ აღდგება საანგარიშო თვის ბოლომდე, მომდევნო თვიდან საკომისიოს დარიცხვა წყდება, საკომისიოს დარიცხვა აღდგება მომსახურების განახლებისთანავე.

10.3. კლიენტი ვალდებულია:

10.3.1. მობილური ტელეფონის აპარატის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 2 922 922), წერილობით, ბანკის დისტანციური მომსახურების არხით (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი);

10.3.2. ანგარიშ(ებ)ზე იქონიოს სერვისით მომსახურების საკომისიოსთვის საკმარისი თანხა.

10.4. კლიენტი უფლებამოსილია:

10.4.1. ნებისმიერ დროს მოთხოვოს ბანკს მისთვის სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნის დასაფიქსირებლად კლიენტმა უნდა განხორციელოს ერთ-ერთი მოქმედება: ბანკის სერვის ცენტრში ვიზიტი, სატელეფონო სერვის-ცენტრში დარეკვა ან ბანკის დისტანციური მომსახურების არხის (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი,) საშუალებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი პერსონალური პარამეტრების გვერდიდან ან/და მიღებულ სარეკლამო შეტყობინებაზე NoSMS პასუხის დაბრუნებით.

10.5. ბანკი ვალდებულია:

10.5.1. კლიენტის მიერ სატელეფონო ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი ან ბანკის დისტანციური მომსახურების არხის (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი) მეშვეობით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს SMS ბანკინგით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების მიხედვით, ბანკის მიერ წინასწარ შერჩეული კითხვების მეშვეობით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

10.5.2. ხელშეკრულების 10.4.1. ქვეპუნქტში მითითებული კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, შეწყვეტოს კლიენტთან სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა.

10.6. ბანკი უფლებამოსილია:

10.6.1. არ შეასრულოს კლიენტის დავალება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის ან/და კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორი (ამ ხელშეკრულების ან ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების არსებობის შემთხვევაში;

10.6.2. კლიენტს გაუგზავნოს სარეკლამო შინაარსის (მათ შორის, სხვადასხვა საბანკო პროდუქტ(ებ)ისა და/ან მომსახურებ(ებ)ის შეთავაზების შემცველი) და ინფორმაციული ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

10.6.3. კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინებით შესთავაზოს კრედიტი (სესხი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ლიმიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი, აგრეთვე არსებული საკრედიტო ლიმიტის გაზრდა);

10.6.4. კლიენტს გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება კრედიტის (სესხის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტის) ოდენობის, დაფარვის თარიღის, დავალიანების ან/და შესრულებული გეგმიური გადარიცხვის შესახებ. ამასთან, კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს გაუგზავნოს ასეთი შეტყობინება და ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა ბანკის შეტყობინებას, კლიენტი ვალდებულია დროულად დაფაროს კრედიტი (სესხი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ლიმიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაიხადოს სხვა გადასახდელები (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, საკომისიო და სხვა);

10.6.5. კლიენტს გაუგზავნოს ნებისმიერი ტიპის მოკლე ტექსტური შეტყობინება (როგორც ფასიანი, ისე უფასო). იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ სარგებლობს ფასიანი მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით, ბანკის ინიციატივით გაგზავნილ მოკლე ტექსტური შეტყობინების საფასურს კლიენტი არ იხდის. ბანკი არ არის პასუხისმგებელი მობილური კავშირის ოპერატორის მიერ SMS -ისათვის დაწესებულ საზღაურზე;

10.6.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მას SMS ბანკინგის მომსახურება.

10.7. საბანკო ოპერაციის SMS კოდით დადასტურება

10.7.1. ბანკი უფლებამოსილია, შესთავაზოს კლიენტს, კლიენტის ხელმოწერის ნაცვლად ტრანზაქციის განხორციელებისას (სხვადასხვა ტიპის საბანკო ოპერაციები, მათ შორის, გადახდა, გადარიცხვა, შემოსავალი, გასავალი და ა. შ.) ან/და სხვადასხვა საკრედიტო ან/და არასაკრედიტო საბანკო პროდუქტით მომსახურების ფარგლებში (მათ შორის მიმდინარე ანგარიშის დახურვა ან/და მეორე და დამატებითი ანგარიშ(ებ)ის გახსნა და ა. შ.) ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის/გარიგების SMS კოდის საშუალებით დადასტურება.

10.7.2. ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის/გარიგების SMS კოდით დადასტურება, გულისხმობს, რომ ბანკი, კლიენტს განცხადებით წინასწარ განსაზღვრულ სატელეფონო ნომერზე, მისი იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის შემდეგ გაუზიარებს შესაბამისი ტრანზაქციის ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული გარიგების/დოკუმენტის მონაცემებს (მონაცემები განისაზღვრება ბანკის მიერ) და ერთჯერად SMS კოდს;

10.7.3. კლიენტის მიერ SMS კოდის ბანკისათვის მიწოდებით დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის ტრანზაქციას ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებულ დოკუმენტს/გარიგებას, ეთანხმება მასში მოცემულ პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული ტრანზაქციის შესრულება ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის/გარიგების გაფორმება/შედგენა;

10.7.4. SMS კოდის კლიენტის მიერ დასახელების შემთხვევაში, ბანკი განახორციელებს ამ კოდის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და საბანკო ოპერაციის დასრულებას;

10.7.5. SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი ტრანზაქციის ან/და დოკუმენტის/გარიგების ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს ბანკი.

10.7.6. კლიენტის მხრიდან ტრანზაქციის/მომსახურების SMS კოდით დადასტურებას გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა

10.7.7. ტრანზაქციის ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის/გარიგების SMS კოდით დადასტურებისას, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი კლიენტს უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტით.

10.8. **ტრანზაქციის შესრულება და მომსახურების მიღება ელექტრონული ბმულიდან დადასტურებით.**

10.8.1. კლიენტი უფლებამოსილია, ბანკის მიერ განსაზღვრული პროცედურების, ლიმიტებისა და წესების შესაბამისად, სხვადასხვა ტრანზაქციის განხორციელებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის, ნებისმიერი გარიგების ან/და განცხადების) დადასტურება განახორციელოს სატელეფონო ნომერზე SMS შეტყობინების სახით გაგზავნილი ელექტრონული მისამართიდან (შემდგომში „ბმული“), რაც გულისხმობს, რომ:

10.8.1.1. ბანკი, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის სატელეფონო ნომერზე ან/და ბანკში საკონტაქტო რეკვიზიტად დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე (შემდგომში „ელექტრონული ფოსტის მისამართი“) კლიენტს გაუზიარებს ბმულს, რომელზე წვდომის საშუალებითაც კლიენტს შესაძლებლობა აქვს, სრულად გაეცნოს მისთვის შეთავაზებული (დასადასტურებელი) გარიგების/დოკუმენტის პირობებს და ელექტრონულად დაეთანხმოს/დადასტუროს ან უარი განაცხადოს დადასტურებაზე;

10.8.1.2. ბანკის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილ ბმულზე განთავსებული დოკუმენტის დადასტურების შემთხვევაში, კლიენტის მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო ბანკის მხრიდან შეთავაზებულ, შესაბამის ბმულზე განთავსებულ ელექტრონულ დოკუმენტს, ეთანხმება მასში მოცემული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და ბმულზე განთავსებული დოკუმენტით განსაზღვრული ტრანზაქციის შესრულებას ან/და საბანკო მომსახურებ(ებ)ის/საბანკო პროდუქტ(ებ)ის ან/და ბანკსა და კლიენტს შორის გასაფორმებელი ნებისმიერი სხვა გარიგების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის გაფორმებას/დადებას;

10.8.1.3. ბანკის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილ ბმულზე განთავსებული დოკუმენტის დადასტურება წარმოადგენს კლიენტის ელექტრონულ ხელმოწერას და მხარეთა შორის ურთიერთობებში უთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას;

10.8.1.4. კლიენტის მიერ დადასტურებული, ბმულზე განთავსებული დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს კლიენტისთვის შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის გადაცემას;

10.8.2. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების/ბმულის გაგზავნით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე/ზარალზე.

10.8.3. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს იმ ტრანზაქციებისა და მომსახურებების ჩამონათვალს/სახეებს, რომელთა მიღების შესაძლებლობაც აქვს კლიენტს 10.1.1. პუნქტით დადგენილი წესით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, პერიოდულად შეცვალოს (გაზარდოს, შეამციროს) წინამდებარე ხელშეკრულების 10.1.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bb.ge).

10.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ვინაიდან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით ტრანზაქციების განხორციელებასა და ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის, საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებების SMS კოდის საშუალებით ან/და ბანკის მიერ კლიენტისათვის სატელეფონო ნომერზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული ბმულიდან დადასტურებას გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი და კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა, ამიტომ SMS ბანკინგის საშუალებით შესაბამისი ტრანზაქციების შესრულებაზე ან/და მომსახურებების მიღებაზე კლიენტის დასტურის გაცხადების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

10.10. კლიენტის მიერ SMS კოდით ან/და ბანკის მიერ გაგზავნილი ბმულის საშუალებით დადასტურებული ტრანზაქციის შესრულების შემდეგ, კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ შესრულებული საბანკო ტრანზაქციის ამსახველი, ქაღალდზე დაბეჭდილი ინფორმაციის (საგადახდო დავალების) ასლის მისთვის გადაცემა.

10.11. ბანკი პასუხს არ აგებს:

- 10.11.1. კლიენტის ანგარიშებზე შეზღუდვის (ინკასო, ყადაღა და სხვ.) არსებობის შემთხვევაში ტრანზაქციის შესრულებით გამოწვეულ შედეგზე;
- 10.11.2. კლიენტის მიერ 10.3. პუნქტში დადგენილი პირობების/ვალდებულებების დაუცველობით გამოწვეულ შედეგებზე, მათ შორის (არა მხოლოდ) განხორციელებულ ტრანზაქციებზე/გაცემულ ინფორმაციაზე;
- 10.11.3. SMS ბანკინგის მომსახურების შეფერხებისათვის, რომელიც გამოწვეულია მობილური კავშირის ოპერატორ(ებ)ის მიზეზით;
- 10.11.4. შედეგზე/ზიანზე, რომელიც გამოწვეულია კლიენტისათვის ბანკის მიერ გაგზავნილი SMS შეტყობინების ვერ მიღებით.
- 10.12. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურებიდან გამომდინარე კლიენტის წინაშე ბანკის პასუხისმგებლობის ზღვრული მოცულობა განისაზღვრება კლიენტის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურებისათვის გადახდილი მომსახურების ღირებულების ჯამური მოცულობით.

11. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ხელმოწერით დოკუმენტების დადასტურება

- 11.1. ბანკი უფლებამოსილია, შესთავაზოს კლიენტს საბანკო სერვისებითა და პროდუქტებით (მათ შორის, საკრედიტო, სადეპოზიტო, საგარანტიო, აკრედიტივის და სხვა) სარგებლობის მიზნით, კლიენტმა ბანკთან სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების (ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვა) გაფორმება/დამოწმება განახორციელოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული ხელმოწერით, ბანკის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში ინტეგრირებული, ან ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სხვა პირის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმ(ებ)ის (მათ შორის, შპს "ენჯითი როქიტ სოლუშენს"-ის, ს/ნ 405432580, მფლობელობაში არსებული პლატფორმის - **Signify.ge**-ის) საშუალებით.
- 11.2. ელექტრონულ დოკუმენტ(ებ)ზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ელექტრონული ხელმოწერა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ელექტრონული ხელმოწერების შესაბამისი პლატფორმის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურით.
- 11.3. კვალიფიციური ელექტრონული ან/და ელექტრონული ხელმოწერებით დამოწმებულ/შედგენილ დოკუმენტებს, ასევე, შესაბამისი პლატფორმის მეშვეობით ბანკთან წარმოებულ ელექტრონულ კომუნიკაციას, გააჩნია ოფიციალური ხასიათი, სათანადო იურიდიული ძალა და უნარი, დაშვებულ იქნას მტკიცებულებად, რომელთა საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი იურიდიული ფაქტების დამტკიცება (მათ შორის, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმების ფაქტის უტყუარობის დადგენა), მათ შორის სასამართლო/საარბიტრაჟო დავის დროსაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 11.4. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კვალიფიციური ელექტრონული ან/და ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმის მეშვეობით დოკუმენტების ხელმოწერის პროცესის სათანადოდ განხორციელების მიზნით და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით, ბანკმა ან ბანკის მიერ განსაზღვრულმა შესაბამისმა მესამე პირმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშავოს კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია/მონაცემი.
- 11.5. საბანკო ოპერაციის შესრულების / საკრედიტო / სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული გარიგებების/ხელშეკრულებების ელექტრონულად გაფორმების/ხელმოწერის შემდეგ კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ ელექტრონული ფორმით შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის / ელექტრონულად ხელმოწერილი/გაფორმებული გარიგებების/ხელშეკრულებების ქაღალდზე დაბეჭდილი დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.
- 11.6. კლიენტი აცხადებს თანხმობას:
- 11.7. ბანკმა ელექტრონული ხელმოწერის მიზნებისთვის გამოიყენოს ბანკში დაფიქსირებული კლიენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.
- 11.8. შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ ბანკთან კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით გარიგების/ხელშეკრულების/დოკუმენტის გაფორმების/ხელმოწერის შემთხვევაში, ბანკმა გამოიყენოს მინდობილი პირის ბანკში დაფიქსირებული პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.
- 11.9. კლიენტი (მარწმუნებელი) აცნობიერებს, რომ შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკთან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, გაფორმებული/ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს კლიენტისთვის (მარწმუნებლისთვის), მათ შორის მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს კლიენტისთვის (მარწმუნებლისთვის).
- 11.10. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის / კლიენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკში შეცვლილი ან/და ბანკისთვის მიწოდებული კლიენტის (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის, მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 11.11. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის / კლიენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკში შეცვლილი ან/და ბანკისთვის მიწოდებული კლიენტის (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების სხვა პირის მიერ გამოყენებაზე, მათ შორის კლიენტის მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით სხვა პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ან კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი

ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

12. სატელეფონო (ქოლ -ცენტრით) მომსახურება

12.1. სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მის ფარგლებში, მიიღოს ბანკის მიერ განსაზღვრული ინფორმაცია ან/და მომსახურება.

12.2. კლიენტის მიერ ანგარიშის გახსნისთანავე მას ავტომატურად წარმოეშობა სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის უფლება.

12.3. სატელეფონო მომსახურებით თითოეულ ჯერზე სარგებლობისას, საჭიროა კლიენტმა გაიაროს დისტანციურად იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ბანკში დადგენილი წესით.

12.4. ბანკს უფლება აქვს, კლიენტის რეგისტრირებული მონაცემების (მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციის) სრულყოფა/განახლების მიზნით, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენოს ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვები (როგორც პერსონალური მნიშვნელობის, ასევე დაკავშირებული მის საბანკო პროდუქტებთან/ოპერაციებთან).

12.5. იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი (მათ შორის ბანკის მიერ წინასწარ შერჩეულ კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე), რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე.

12.6. იდენტიფიკაციის გავლის გარეშე კლიენტი უფლებამოსილია მიიღოს ზოგადი ინფორმაცია საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ.

12.7. იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში სატელეფონო მომსახურებით სარგებლობისას კლიენტი უფლებამოსილია:

12.7.1. მიიღოს ინფორმაცია: სხვადასხვა საბანკო ოპერაციებისა და საბანკო მომსახურების შესახებ;

12.7.2. ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ლიმიტების ფარგლებში მოითხოვოს:

12.7.2.1. სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელება;

12.7.2.2. სხვადასხვა საბანკო პროდუქტის/მომსახურების მიღების ან/და გაუქმების სურვილი დაფიქსირება (რაც უთანაბრდება ბანკისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენას).

12.8. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ:

12.8.1. იდენტიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ მიაწოდოს მას სატელეფონო მომსახურებით გათვალისწინებული შესაბამისი სერვისები (მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები);

12.8.2. კლიენტთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო (მათ შორის, მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება შესაბამისი საბანკო სერვისების/პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

12.8.3. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ბანკი პასუხს არ აგებს ამ ხელშეკრულებით დადგენილი იდენტიფიკაციის პროცედურების სათანადოდ გავლის საფუძველზე ბანკის მხრიდან შესაბამისი სერვის(ებ)ის მიწოდების შედეგად კლიენტის მიმართ დამდგარ უარყოფით შედეგებზე (მათ შორის, თაღლითობით, მოტყუებით ან ნებისმიერი სხვა არაკანონიერი გზით კლიენტის ქონების დაუფლება).

12.9. **ბანკი უფლებამოსილია:**

12.9.1. ნებისმიერ დროს ცალმხრივად დააწესოს/შეცვალოს შეზღუდვები ან/და მომსახურების დადასტურების მეთოდი სატელეფონო მომსახურების მიწოდებისას;

12.9.2. ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება(ები)/დამატება(ები) საკუთარი შეხედულებისამებრ სატელეფონო მომსახურების პირობებში;

12.9.3. უარი თქვას სატელეფონო მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში თუ ბანკის შესაბამის წარმომადგენელს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი.

12.9.4. განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე ღონისძიება, თუ ბანკის მიერ სათანადო წესით ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებები, კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება ან საქართველოს ეროვნული ბანკით დადგენილი მოთხოვნები), ან/და ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ სატელეფონო მომსახურება შეიძლება დაკავშირებული იყოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან, აგრეთვე ბანკში არსებული ინფორმაციით, მომსახურების და/ან კლიენტის მიმართ შესაძლოა მოქმედებდეს საერთაშორისო ეკონომიკური/ფინანსური სანქცია/სანქციები:

12.9.4.1. დააყოვნოს სატელეფონო მომსახურება დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე;

12.9.4.2. უარი უთხრას კლიენტს სატელეფონო მომსახურების შესრულებაზე;

12.9.4.3. კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შეუჩეროს და/ან შეუწყვიტოს კლიენტს დისტანციური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა;

12.9.4.4. განახორციელოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

12.10. **კლიენტი ვალდებულია:**

12.10.1. საბანკო მომსახურების გაწევის საკითხებში დაექვემდებაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას;

12.10.2. დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო);

- 12.10.3. ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა ხელი მოაწეროს და გადასცეს ბანკს ამ უკანასკნელისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის განხორციელებისთვის ან ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისთვის საჭირო ნებისმიერი საბუთი;
- 12.10.4. სრულად აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო ბანკის მიერ გაწეული (მათ შორის კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული) ყველა და ნებისმიერი ხარჯი.
- 12.11. ბანკი ვალდებულია:
- 12.11.1. მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;
- 12.11.2. შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- 12.11.3. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.
- 12.12. სატელეფონო მომსახურების გაწევისთვის კლიენტი ბანკს უხდის მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს).
- 12.13. მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).
- 12.14. მომსახურების ტარიფები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.bb.ge
- 12.15. ბანკს უფლება აქვს შესთავაზოს კლიენტს მომსახურების პაკეტის გამოყენება, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. მომსახურების პაკეტზე რეგისტრაცია ხდება კლიენტის მიერ განცხადების შევსებით, რომელიც მიიჩნევა კლიენტის თანხმობად მომსახურების პაკეტში შემავალი ყველა საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობაზე.
- 12.16. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების/სერვისის ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.
- 12.17. კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას მასზედ რომ ბანკმა ყოველგვარი დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან ჩამოჭრას სატელეფონო მომსახურების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ საფასურის დასაფარი თანხა ანგარიშზე განთავსებულია სხვა ვალუტაში, ბანკი თავად განხორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკში დადგენილი მოქმედი კომერციული კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოიწერება კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, ხოლო კონვერტირებული თანხა მიემართება საფასურის დასაფარად.
- 12.18. **მხარეთა პასუხისმგებლობა**
- 12.19. ბანკი პასუხისმგებელია, კლიენტის წინაშე სატელეფონო მომსახურების სისწორესა და დროულობაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 12.20. კლიენტი პასუხისმგებელია, სატელეფონო მომსახურების საწარმოებლად წარმოდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის უტყუარობაზე.
- 12.21. ბანკი არ არის პასუხისმგებელი სატელეფონო მომსახურების მიწოდებისას ნებისმიერი ტიპის შეფერხებიდან (მათ შორის მოლოდინის რეჟიმის ხანგრძლივობიდან) ან მომსახურების გაწევაზე მისი (ბანკის) უარიდან გამომდინარე წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე/ზიანზე/დამატებით ხარჯებზე ან/და სხვა დამატებით ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია რაიმე სახის ტექნიკური ან/და მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად, მათ შორის:
- 12.21.1. კლიენტის დავალებით სატელეფონო მომსახურების განხორციელებით;
- 12.21.2. კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;
- 12.21.3. ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;
- 12.21.4. კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;
- 12.21.5. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;
- 12.21.6. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 12.21.7. კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოუყენებლობით.
- 12.21.8. ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.
- 12.22. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით.
- 12.23. ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ.
- 12.24. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სატელეფონო მომსახურებით სარგებლობა მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.
- 12.25. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:
- 12.26. შეცვალოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მახასიათებლები ან/და საფასური (ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში);
- 12.27. შეწყვიტოს სატელეფონო მომსახურების მიწოდება კლიენტისათვის

13. სახელფასო პროექტი

- 13.1. სახელფასო პროექტში ჩართვისა და მომსახურების მისაღებად კლიენტი მიმართავს ბანკს ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
- 13.2. ამ მუხლით განისაზღვრება სახელფასო პროექტით მომსახურების ზოგადი პირობები, ხოლო კონკრეტული პირობები განისაზღვრება და რეგულირდება, მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.
- 13.3. ბანკსა და კლიენტს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობისას კლიენტს უფლება აქვს გადაიხადოს დასაქმებულებისთვის ბარათების დამზადებისა და მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების განაღდების საკომისიოები.
- 13.4. ბანკის მიერ სახელფასო პროგრამის ფარგლებში კლიენტის ანგარიშებიდან გადარიცხვის ოპერაციები წარმოებს კლიენტის მიერ ბანკთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით წარდგენილი შესაბამისი საგადახდო დავალებისა და დასაქმებულთა მონაცემების საფუძველზე. ბანკისათვის მონაცემები შესაძლოა წარდგენილ იქნას მაგალითად, პროგრამის, ინტერნეტ-ბანკის, ბანკში წინასწარ წერილობით შეთანხმებული ელ. ფოსტის (Excel ფაილით) გამოყენებით.
- 13.5. სახელფასო პროექტთან დაკავშირებულ ურთიერთობას კლიენტი ბანკთან დაამყარებს თავად ან მის მიერ დანიშნული პირის მეშვეობით, რომლისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება გაფორმდება ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული წესით.
- 13.6. **კლიენტი ვალდებულია:**
- 13.6.1. ანაზღაურებების დასაქმებულთა ანგარიშებზე გადარიცხვის სურვილის არსებობისას წარუდგინოს ბანკს საგადახდო დავალება დასაქმებულთა ანგარიშებზე ჩასარიცხი ანაზღაურებების ჯამური თანხის მითითებით და დასაქმებულთა რეესტრს (სია) ანგარიშების ნომრების და თანხების მითითებით;
- 13.6.2. დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;
- 13.6.3. შეთანხმების შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს სახელფასო პროექტის ფარგლებში დასაქმებულებისთვის დამზადებული პლასტიკური ბარათებით მომსახურების საკომისიო სრულად;
- 13.6.4. გადაუხადოს ბანკს კლიენტის დასაქმებულებისთვის სახელფასო პროექტის ფარგლებში დამზადებული საბარათე ინსტრუმენტების მეშვეობით თანხის განაღდების საკომისიო იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კლიენტსა და ბანკს შორის სახელფასო პროექტში ჩართვის თაობაზე შესაბამისი შეთანხმებაში;
- 13.6.5. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას დასაქმებულთა პირადობის დამადასტურებელი საბუთების (პირადობის მოწმობების ან პასპორტების) და გადასახადის გადამხდელის მოწმობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლები, რომელთა დედნებთან შესაბამისობა დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 13.6.6. დროულად მიაწოდოს კლიენტის დასაქმებულებს ბანკის მომსახურებისა და პროდუქტების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაცია, რომელიც დასაქმებულებს (მომხმარებლებს) არ უზიდავს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში;
- 13.6.7. თანამშრომელს წინასწარ გააცნოს კლიენტის თანამშრომლებისათვის წინამდებარე სახელფასო პროგრამის ფარგლებში კლიენტსა და ბანკს შორის შეთანხმებული თანამშრომლის მიერ საბანკო პროდუქტებთან ან/და მომსახურებებთან დაკავშირებული შეღავათები, ტარიფები და საკომისიოები.
- 13.7. **ბანკი ვალდებულია:**
- 13.7.1. ამ ხელშეკრულების 13.6.1. ქვეპუნქტში აღწერილი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა გადარიცხოს თანხები დასაქმებულების ანგარიშებზე.
- 13.8. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით კლიენტი და ბანკი თანხმდებიან, რომ სახელფასო პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ბანკის წარმომადგენელი კლიენტის დასაქმებულებთან ურთიერთობაში იქნება ან თავად კლიენტი ან კლიენტის მიერ წერილობით განსაზღვრული კლიენტის დასაქმებული, რომელიც უშუალოდ შეასრულებს წინამდებარე მუხლში ან/და შესაბამის ხელშეკრულებაში აღწერილ ქმედებებს. კლიენტი ან მის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი ვალდებული იქნება:
- 13.8.1. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ბანკს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ასლი;
- 13.8.2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკთან შეთანხმებულ ვადაში გადასცეს მას დასაქმებულების პირადობის დამადასტურებელი საბუთების დამოწმებული ასლები;
- 13.8.3. კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სრულფასოვნად განახორციელოს წინამდებარე მუხლში აღწერილი მოქმედებები.
- 13.9. კლიენტის მიერ ყოველი ახალი დასაქმებულის სახელფასო პროექტში ჩართვა მოხდება ხელშეკრულების წინამდებარე მუხლში აღწერილი წესითა და პირობებით და კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით.
- 13.10. ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებულ კონკრეტულ სახელფასო პროექტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის რომელიმე პირობა არ იქნება წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობასთან თანხვედრაში, პრიორიტეტი მიენიჭება კონკრეტული ხელშეკრულების პირობას.

14. ინკასაცია

- 14.1. საინკასაციო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მოთხოვნით მისი კუთვნილი ნაღდი ფულის და ფასეულობის გადაზიდვას (ინკასაციას).
- 14.2. ამ მუხლით განისაზღვრება საინკასაციო მომსახურების ზოგადი პირობები, ხოლო კონკრეტული პირობები განისაზღვრება და რეგულირდება, მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით. თუ ამ უკანასკნელის რომელიმე პირობა არ იქნება წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობასთან თანხვედრაში, პრიორიტეტი მიენიჭება კონკრეტული ხელშეკრულების პირობას.

- 14.3. საინკასაციო მომსახურების მისაღებად კლიენტი მიმართავს ბანკს შეთანხმების შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება/შეთანხმება.
- 14.4. **კლიენტი ვალდებულია:**
- 14.4.1. საინკასაციო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ბანკში გახსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში);
- 14.4.2. ზედმიწევნით დაიცვას 14.2. ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულების პირობები;
- 14.4.3. დროულად მიაწოდოს თანხა/ფასეულობა ბანკის წარმომადგენელს და თანხის/ფასეულობის მითვლის შემდეგ ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს;
- 14.4.4. დაიცვას ბანკის მიერ თანხის/ფასეულობის გატანისა და შემოტანის გრაფიკის კონფიდენციალობა;
- 14.4.5. სათანადოდ შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
- 14.4.6. ნადი ფულის/ფასეულობის მისაღებად და გადასაცემად უზრუნველყოს იზოლირებული სადგომი, თავისუფალი და განათებული მისასვლელით;
- 14.4.7. ბანკს ფული/ფასეულობა გადასცეს მხოლოდ დალუქული ჩანთებით;
- 14.4.8. დროულად გადაუხადოს ბანკს მომსახურების საფასური (საკომისიო);
- 14.4.9. ინკასირებულ თანხაში არსებული დაზიანებული უცხოური ვალუტის ბანკისთვის გადაცემის შემთხვევაში ბანკს გადაუხადოს საკომისიო დაზიანებული უცხოური ვალუტის მიღებისთვის ბანკის მიერ დაზიანებული უცხოური ვალუტის მიღების მომენტისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად;
- 14.4.10. დაიცვას მასთან გაფორმებული ინკასაციის ხელშეკრულების ტექსტისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოება.
- 14.5. **ბანკი ვალდებულია:**
- 14.5.1. ხარისხიანად გაუწიოს კლიენტს საინკასაციო მომსახურება;
- 14.5.2. კლიენტისგან მიღების შემდეგ უზრუნველყოს დალუქული ჩანთის მთლიანობის დაცვა.
- 14.6. **ბანკს უფლება აქვს:**
- 14.6.1. უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე (ინკასაციაზე) ჩანთის ან მასზე არსებული ლუქის დაზიანების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ან/და იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მიუღებელია ინკასაციისთვის განკუთვნილი შენობის (ობიექტის) ადგილმდებარეობა.

15. საკრედიტო ურთიერთობის ძირითადი პირობები

- 15.1. ბანკში კლიენტს შეუძლია ისარგებლოს საკრედიტო მომსახურებით/აიღოს ბიზნეს სესხი (შემდგომში „სესხი“ ან „კრედიტი“).
- 15.2. ამ მუხლით განისაზღვრება კლიენტსა და ბანკს შორის საკრედიტო ურთიერთობის ზოგადი პირობები, ხოლო კონკრეტული პირობები განისაზღვრება და რეგულირდება, მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით/ხელშეკრულებებით, ყველა მისი დამატებისა და ცვლილების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული საკრედიტო ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები (<https://static.bb.ge/static/file/a6akGcUx5qyJpelljaAkeBzC1eIz1CpGgJQvZyJE.pdf>) (შემდგომში „საკრედიტო ხელშეკრულება“). თუ წინამდებარე ძირითადი პირობების რომელიმე პირობა არ იქნება შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების რომელიმე პირობასთან თანხვედრაში, პრიორიტეტი მიენიჭება შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების პირობებს.
- 15.3. სესხის/კრედიტის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დასაშვებია განცხადების წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების – ინტერნეტ-ბანკის, მობილური-ბანკის გამოყენებით) ან დაეთანხმოს ბანკის შეთავაზებას (დასაშვებია შეთავაზებაზე დათანხმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების – ინტერნეტ-ბანკის, მობილური-ბანკის გამოყენებით გამოყენებით). ბანკი განიხილავს კლიენტის განცხადებას და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).
- 15.4. სესხის მიღების შემდეგ კლიენტი (მსესხებელი) ვალდებული იქნება დააბრუნოს სესხის თანხა და გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- 15.5. კლიენტის ფულადი ვალდებულები სრულდება მის ანგარიშ(ებ)ზე აკუმულირებული თანხებით.
- 15.6. თუ კლიენტს არ აქვს მიმდინარე ანგარიში, სესხის მიღების შესახებ განცხადება იმავდროულად ჩაითვლება განცხადებად მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ და ბანკის მიერ სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სესხის გაცემამდე მას გაეხსნება ანგარიში მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკში მოქმედი წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 15.7. ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში კლიენტს წარმოეშვება ბანკისათვის ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტში ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად თუ კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის შეთანხმებული კლიენტთან.
- 15.8. სესხს არ დაერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის გადახდის თარიღი დაემთხვევა არასაბანკო დღეს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო საბანკო დღეს.
- 15.9. კლიენტის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის, საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს ან სადაზღვევო პრემიის დროულად გადაუხდელობის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა და მოსთხოვოს კლიენტს სესხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ

გადასახდელბთან (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა) ერთად კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით.

15.10. ბანკს უფლება აქვს:

15.10.1. მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით;

15.10.2. კლიენტის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახდელი (მათ შორის სადაზღვევო პრემია) კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) გადარიცხოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე.

16. დეპოზიტის / ანაზრის გახსნა

16.1. დეპოზიტის/ანაზრის გასახსნელად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დასაშვებია განცხადების წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების – ინტერნეტ-ბანკის, მობილური-ბანკის გამოყენებით ან ბანკის მიერ დადგენილი სხვა ფორმით).

16.2. კლიენტის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი კლიენტის განცხადებაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად გაუხსნის ანაზრს/დეპოზიტს.

16.3. კლიენტს ანაზრის/დეპოზიტის გახსნა, შესაბამისი განცხადების წარმოდგენით, ბანკის მიერ ანაზრის/დეპოზიტის გახსნასთან დაკავშირებით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ასევე ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

16.4. ბანკსა და კლიენტს შორის ანაზრის/დეპოზიტის მომსახურებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი ანაზრის/დეპოზიტის ხელშეკრულების პირობებით.

16.5. ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ანაზარი/დეპოზიტი კლიენტს შეიძლება გაეხსნას, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში კლიენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლის მიერ სისტემიდან განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და ანაზრის/დეპოზიტის შესაბამისი ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

17. დაზღვევა

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

18. ნომინალური მფლობელობის ანგარიში

18.1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ბანკის კლიენტის (შემდგომში „ნომინალური ანგარიშის მფლობელი“) განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ბანკის მიერ კლიენტისთვის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიშის ან ნომინალური მფლობელობის სერვეტირებული ანგარიშის გახსნა (შემდგომში „ნომინალური მფლობელობის ანგარიში“).

18.2. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადარიცხოს მხოლოდ ნომინალური ანგარიშის მფლობელის კლიენტ(ებ)ის სახსრები, რომელსაც/თაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

18.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების, ასევე ინფორმაცია/დოკუმენტაცია შესასრულებელი/შესრულებული ოპერაციის/გარიგების შესახებ.

18.4. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი (ბანკის კლიენტი).

18.5. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე.

18.6. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ვრცელდება შესაბამისი ანგარიშის მომსახურებისთვის ბანკში დაწესებული სტანდარტული ტარიფები.

18.7. ბანკსა და ნომინალური ანგარიშის მფლობელს შორის ნომინალური ანგარიშის გახსნასა და მომსახურებასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით.

19. ესქრო მომსახურება

19.1. საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის შიდა მარეგლამენტირებული დოკუმენტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით შესაძლებელია ბანკის მიერ კლიენტისთვის ესქრო მომსახურების გაწევა.

19.2. კლიენტმა ესქრო მომსახურების მისაღებად ბანკს უნდა მიმართოს ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი განცხადებით. ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას კლიენტს ესქრო მომსახურების გაწევაზე.

19.3. ესქრო მომსახურება გულისხმობს მომსახურებას, რომლის შესაბამისად ბანკი კისრულობს ვალდებულებას ესქრო მომსახურების შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად გადამხდელის მიერ ბანკისათვის მიწოდებული ფულადი სახსრები ესქრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დადგომისას გადაურიცხოს მიმღეს, რომელიც ესქრო ხელშეკრულების მხარეა, ხოლო ესქრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან ესქრო მომსახურების ვადის გასვლისთანავე - გადამხდელს, ესქრო ხელშეკრულების შესაბამისად;

19.4. ესქრო მომსახურების ფარგლებში ბანკის შიდასაბანკო ანგარიშზე თანხა შეიძლება განთავსდეს ესქრო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 თვისა.

20. ექვარიენგული მომსახურება

20.1. ექვარიენგული მომსახურების მისაღებად, რაც ხელშეკრულების მიზნებისთვის გულისხმობს მათ შორის საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტთან (მერჩანტთან) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებით (მათ შორის, ფიზიკური პოს-ტერმინალი, ბანკომატი) გადახდის ოპერაციის, ნაღდი ფულის გატანის და სხვა ოპერაციის განხორციელებას, კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განცხადებით.

20.2. ბანკი განიხილავს კლიენტის განცხადებას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კლიენტსა და ბანკს შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება ექვარიენგული მომსახურების გაწევის შესახებ.

20.3. ექვარიენგული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ექვარიენგული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების ან ბანკის ტარიფების შესაბამისად, ბანკის შეხედულებისამებრ.

21. საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურება

21.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი, კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციებს (შემდგომში „საბიუჯეტო ორგანიზაცია“) მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ს გაუხსნის და გაუწევს საბანკო მომსახურებას ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით. კერძოდ:

21.1.1. ანგარიშ(ებ)ზე იწარმოება მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

21.1.1.1. სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშიდან სახსრების გადმოტანა/ჩარიცხვა;

21.1.1.2. სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე სახსრების დაბრუნება/გადარიცხვა;

21.1.1.3. სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანა და სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის დაბრუნება;

21.1.1.4. მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციები;

21.1.1.5. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები შესაძლებელია გამოყენებული იქნას, დადგენილი წესით საბიუჯეტო ორგანიზაციის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტი(ებ)ის, სესხების ან აკრედიტივ(ებ)ის უზრუნველყოფის საგნად.

21.1.2. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ბანკში ისეთი ანგარიშ(ებ)ის გახსნისთვის, რომელზეც არ გავრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები, ასევე ანგარიშ(ებ)ზე სხვა სახის ოპერაციების წარმოებისთვის საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, ბანკს წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს/სახელმწიფო ხაზინის თანხმობა ამასთან აღნიშნული ანგარიშ(ებ)იდან განხორციელებულ ოპერაციაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

21.1.3. ბანკსა და საბიუჯეტო ორგანიზაციას შორის არსებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობითა და წესით საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი არაუმეტეს დარიცხვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინაში კლიენტის სახელზე არსებულ ანგარიშ(ებ)ზე; საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდის გასვლის ან შესაბამისი ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემდეგ შესაბამის მიმდინარე ანგარიშზე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინაში საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელზე არსებულ ანგარიშ(ებ)ზე;

21.1.4. საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია არ განახორციელოს და არ დაუშვას ანგარიშზე სხვა ოპერაციების განხორციელება, გარდა ამ ხელშეკრულების 21.1.1. მუხლით განსაზღვრულისა.

21.2. ბანკში საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საბარათე ანგარიშის გახსნაზე სრულად გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი წესები და პირობები, მოქმედი კანონმდებლობითა და 21-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

21.2.1. საბარათე ანგარიშის გახსნისთვის საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია, ბანკს წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს/სახელმწიფო ხაზინის თანხმობა (ანგარიშის გახსნის კონკრეტული მიზნის მითითებით) აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. და 9.2. პუნქტებით დადგენილი წინაპირობების შესრულების შემდეგ, ბანკი საბიუჯეტო ორგანიზაციას გაუხსნის ანგარიშს. ამასთან, ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციას/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს

21.2.2. საბარათე ანგარიშ(ებ)ზე იწარმოება მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

21.2.2.1. სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშიდან სახსრების გადმოტანა/ჩარიცხვა;

21.2.2.2. სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე სახსრების გადარიცხვა ან დაბრუნება;

21.2.2.3. სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანა და სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის დაბრუნება;

21.2.2.4. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, ინტერნეტით შესყიდვის განხორციელება;

21.2.2.5. მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციები.

21.2.2.6. ანგარიშზე ბარათის, ელექტრონული ან/და დისტანციური მომსახურების მიმართ სრულად ვრცელდება წინამდებარე მუხლით დადგენილი პირობები/შეზღუდვები.

21.2.2.7. საბიუჯეტო ორგანიზაცია და საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული თანხა, ბარათის მოხმარებასთან დაკავშირებული საკომისიოების გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში, ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები.

21.3. ბანკი უფლებამოსილია:

21.3.1.1. საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი თანხა, „21.1.1.5.“ პუნქტში აღნიშნული საბანკო გარანტიის, სესხებისა ან აკრედიტაციის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დასაბრუნებლად.

21.3.1.2. განახორციელოს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშ(ებ)ზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის დადება და აღნიშნული შეზღუდვით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

21.3.1.3. სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნის შემთხვევაში, საბიუჯეტო ორგანიზაციის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეაჩეროს/შეწყვიტოს ნებისმიერი შესაბამისი ოპერაციის განხორციელება, გადარიცხოს მიმდინარე ანგარიშზე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე ან/და საბარათე ანგარიშებზე არსებული თანხები სახელმწიფო ხაზინაში არსებულ საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშ(ებ)ზე ან/და დახუროს საბიუჯეტო ორგანიზაციის ნებისმიერი მიმდინარე ან/და საბარათე ანგარიში ან/და სადეპოზიტო ანგარიში;

21.3.1.4. მიაწოდოს სახელმწიფო ხაზინას ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციის/ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციის ან/და მის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთების შესახებ.

21.4. საბიუჯეტო ორგანიზაციის/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებითა და წინამდებარე ხელშეკრულებებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის საბიუჯეტო ორგანიზაცია/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ბანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს).

21.4.1. საბიუჯეტო ორგანიზაცია/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი თავად უზრუნველყოფს მომსახურების საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელის/პირგასამტეხლოს/ჯარიმის/პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკისათვის გადახდას. გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება ბანკის მიერ, საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის(ინვოისის) საფუძველზე.

21.4.2. საბიუჯეტო ორგანიზაცია/საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი ვალდებულია, ბანკის მიერ გადახდის შესაბამისი დოკუმენტის მისთვის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გადაუხადოს ბანკს მომსახურების საფასური ან/და სხვა სახის გადასახდელი/პირგასამტეხლო/ჯარიმა/პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, იგი აძლევს ბანკს გამოუთხოვად დავალებას/ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს სახელმწიფო ხაზინას საბიუჯეტო ორგანიზაციის ხაზინაში არსებული ანგარიშ(ებ)იდან მის მიერ დასაფარი ნებისმიერი საკომისიოს ან/და გადასახდელის ბანკისათვის გადარიცხვის თაობაზე.

22. მხარეთა პასუხისმგებლობა

22.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

- 22.2. ბანკი პასუხისმგებელია, კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორესა და დროულობაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 22.3. კლიენტი პასუხისმგებელია, ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.
- 22.4. ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკომისიოს ან/და მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
- 22.5. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 22.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (მათ შორის საერთაშორისო გადარიცხვებთან/ჩარიცხვებთან დაკავშირებით) თუ:
- 22.6.1. ეს გამოწვეულია კლიენტის “საგადახდო დავალებასში” ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან/და შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით ან/და ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;
- 22.6.2. იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების (ადრესატის) მომსახურე ბანკი ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას;
- 22.6.3. თანხის გამგზავნაზე და/ან თანხის მიმღებზე (ადრესატზე) და/ან თანხის მიმღების (ადრესატის) მომსახურე ბანკზე ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს თანხის მიმღების (ადრესატის) მიერ თანხის მიღებას.
- 22.6.4. საკორესპოდენტო ბანკი (რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა) უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხავი თანხის დაკავება/ბლოკირება ფულის გათეთრების აღკვეთის ან/და სხვა მიზნით.
- 22.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:
- 22.7.1. კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;
- 22.7.2. კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;
- 22.7.3. ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;
- 22.7.4. კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;
- 22.7.5. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;
- 22.7.6. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 22.7.7. კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოუყენებლობით.
- 22.7.8. ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.

23. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და საბანკო საიდუმლოება

- 23.1. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:
- 23.1.1. აქვს ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;
- 23.1.2. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს უქმნის კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;
- 23.1.3. უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ კლიენტმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია კლიენტის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;
- 23.1.4. ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;
- 23.1.5. მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად.
- 23.1.6. ის არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის ნაცვლად.
- 23.1.7. მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განცხადების ბანკის მიერ მიღების მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია კლიენტის კონტროლის და მფლობელობის სტრუქტურაში შემავალი პირების შესახებ), საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
- 23.2. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები, კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 23.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 23.4. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სს „ბაზისბანკი“ უფლებამოსილია:

23.4.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, ბენეფიციარი მფლობელების და კლიენტთან დაკავშირებული სხვა ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები. საბანკო მომსახურების გაწევის პროცესში, მოახდინოს კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, ბენეფიციარი მფლობელების და კლიენტთან დაკავშირებული სხვა ფიზიკური პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის დამუშავება.

23.4.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პრუდუქტის მიღების შესახებ ბანკისთვის წარდგენილი განცხადების განხილვისა და საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით (ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობითა და პერიოდულობით), კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის პერსონალური) ინფორმაცია (მათ შორის, საქართველოში მოქმედი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)საგან, ნებისმიერი მესამე პირისაგან, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან) და დამუშავოს კლიენტის შესახებ მოპოვებული შესაბამისი პერსონალური მონაცემები.

23.4.3. კლიენტისათვის გასაწევი საბანკო მომსახურების გაუმჯობესების ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბანკმა კლიენტის საბანკო ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია, აგრეთვე წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პერსონალური ინფორმაცია, ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის პირობით, გადასცეს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს.

23.4.4. გადარიცხვების შეუფერხებლად მომსახურების მიზნებისთვის, მომსახურების გაწევის პროცესში პარტნიორი ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას მის მიერ მოთხოვნილი მონაცემები კლიენტის შესახებ. მათ შორის და არა მხოლოდ ინფორმაცია კლიენტის ბენეფიციარი მესაუბრე(ებ)ის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, საქმიანობის შესახებ და სხვა.

23.4.5. დაამუშაოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებსაც კლიენტის, კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების და კლიენტთან დაკავშირებული სხვა ფიზიკური პირების შესახებ მონაცემები/ინფორმაცია. კლიენტის ნებისმიერი განცხადებები, ასევე კლიენტთან დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია (მ.შ. პერსონალური ინფორმაცია) შენახვის მიზნით გადასცეს სახელმწიფო არქივს ან ამ პროფილის კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული დოკუმენტაციის დაარქივებასა და უსაფრთხო პირობებში შენახვას კონფიდენციალობის წესების დაცვით.

23.5. კლიენტი ინფორმირებულია, რომ მის შესახებ საკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის მიწოდება ბანკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის, რისთვისაც ბანკი:

23.5.1. შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული კლიენტისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

23.5.2. შეაგროვებს/დაამუშავებს პირის ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

24. ცვლილებები ხელშეკრულებაში

24.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში დაგეგმილი ცვლილების/ცვლილებების (მათ შორის მომსახურების ტარიფების) შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე არხით ან/და ბანკის ვებ-გვერდზე <https://bb.ge/> გამოქვეყნების გზით ან/და ბანკის ფილიალების/სერვისცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განათავსებით ბანკი კლიენტს ატყობინებს (აწვდის ინფორმაციას ცვლილების შესახებ) ასეთი ცვლილების (ცვლილებების) ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე.

24.2. ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება კლიენტის მიერ დადასტურებულად, თუ ცვლილების ამოქმედებამდე შეთავაზებულ პირობებზე მომხმარებელი არ განუცხადებს უარს ბანკს. ცვლილებების ამოქმედებამდე კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის განსაზღვრული ყოველგვარი საკომისიოს გადახდის გარეშე. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების გამოყენების (ხელშეკრულების შეწყვეტის) შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა დაუბრუნოს ბანკს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ყველა პროდუქტი (სრულად დაფაროს ყველა საკრედიტო ლიმიტი, ოვერდრაფტი, საბანკო კრედიტი ან/და სხვა საკრედიტო

პროდუქტი) და გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებასთან და პროდუქტთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი. ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

24.3. ხელშეკრულების 23.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხდება ცვლილება (მათ შორის საკომისიოს ოდენობის ცვლილება) კლიენტის სასარგებლოდ, ასევე იმ ახალ მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე მომსახურებას (მომსახურებებს).

25. კომუნიკაცია

25.1. თუ ხელშეკრულების სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, დისტანციური არხ(ები) (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი), ან სატელეფონო (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) შეტყობინება. მატერიალური ფორმის წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე.

25.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია შესაბამისი წესით (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

25.2.1. კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ - გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია კლიენტის მიერ - ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

25.2.2. ბანკის მიერ შეტყობინების ელექტრონული ფოსტის, დისტანციური არხის (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკის, მობაილ ბანკის) ან ტელეფონის (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღის მომდევნო საბანკო დღეს.

25.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო: (ა) შესაბამის მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, (ბ) ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან (გ) ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.

25.4. კლიენტი ვალდებულია, საკონტაქტო რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობით აცნობოს ბანკს სახელი/გვარის (სახელწოდების), საპასპორტო მონაცემების (რეგისტრაციის მონაცემების), მისამართის (იურიდიული/ფაქტიური) და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) ცვლილებების შესახებ.

25.5. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

26. ხელშეკრულების მოქმედება

26.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის შესაბამისად მიღებული კლიენტის განცხადების ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

26.2. თუ ბანკის მიერ შეთავაზებული კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების მისაღებად საჭიროა ამ პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმება, ასეთი პროდუქტის მიწოდების/მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება თავად ამ ხელშეკრულებით/შეთანხმებით.

26.3. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიშ(ებ)ი ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის გზით (თუ კონკრეტულ ანგარიშთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულებით ან სხვა კონკრეტული ხელშეკრულებით/შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ანგარიშის დახურვის ან/და მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის ანგარიშთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.

26.4. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

26.4.1. შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი, შეუწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისტანციური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა, შეწყვეტამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით, ხოლო 5.4.2 პუნქტით გათვალისწინებულ და/ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში წინასწარი შეტყობინების გარეშე;

26.4.2. შეცვალოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მახასიათებლები ან/და საფასური/ბანკის მიერ დადგენილ ტარიფები.

26.4.3. დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი და შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დისტანციური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა, კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ან/და ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში ნაშთისა და ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში (ამ

პუნქტის მიზნებისთვის ბრუნვად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან). დაუწესოს კლიენტს, რომელსაც აქვს უმოქმედო ანგარიშ(ებ)ი (მიმდინარე/საბარათო ანგარიში, რომლის მფლობელსაც არ აქვს აქტიური ვადიანი ტიპის დეპოზიტი ბანკში და აღნიშნულ ანგარიშ(ებ)ზე მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება საბანკო ოპერაცია) უმოქმედო კლიენტის ანგარიშ(ებ)ის აღრიცხვის საკომისიო.

26.5. ბანკში კლიენტს ანგარიში ასევე დაეხურება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

26.6. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა, ვადადამდგარი ვალდებულებების, დარიცხული საკომისიოების, პირგასამტეხლობის და ბანკის მიმართ არსებული სხვა დავალიანებების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

26.7. ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

27. სანქციებთან დაკავშირებული პირობები

27.1. კლიენტი ბანკის წინაშე და მის სასარგებლოდ აცხადებს, იძლევა გარანტიას და ამავდროულად კისრულობს ვალდებულებას, რომ:

27.1.1. კლიენტზე (წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის კლიენტში მოიაზრება მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები) ან/და პირზე/პირებზე, რომელიც/რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს/აკონტროლებენ ან ფლობს/ფლობენ კლიენტს (შემდგომში - მაკონტროლებელი პირი), ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ვრცელდება, გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - სანქციების ორგანო) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია(შემდგომში „საერთაშორისო სანქციები“);

27.1.2. კლიენტი ან/და მისი მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ახორციელებდა, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რაიმე ისეთ ქმედებას, გარიგებას ან/და ოპერაციას, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და მისი მაკონტროლებელ პირის მიერ სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული ნებისმიერი საერთაშორისო სანქციის ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი საერთაშორისო სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა;

27.1.3. კლიენტი ან/და მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ახორციელებდა, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენას იმ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად, რომელიც დადგენილია სანქციების ორგანოს მიერ ან/და ისეთი ნავთობით, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ან/და მათ გაყიდვას, ექსპორტს, რეექსპორტს, იმპორტს, მიწოდებას, ტრანსპორტირებას ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობას, რომლის შეძენაც მოხდა სანქციების ორგანოს მიერ დადგენილ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად.

27.1.4. ბანკის მოთხოვნისთანავე, ბანკისთვის მისაღები ფორმით, კლიენტი დაუყოვნებლივ მიაწოდებს ბანკს ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას ან/და დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის მიერ:

27.1.4.1. სანქციადაკისრებულ ქვეყანაში ექსპორტირებული (მათ შორის რე-ექსპორტი) პროდუქტით ვაჭრობასთან ან/და სანქციადაკისრებული ქვეყნის წარმოშობის პროდუქტით ვაჭრობასთან.

27.1.4.2. სანქციადაკისრებული ქვეყნიდან იმპორტირებული (მათ შორის რე-იმპორტი) პროდუქტის ვაჭრობასთან.

27.1.5. კლიენტი დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბანკს ნებისმიერი ისეთი გარემოების ან/და მოვლენის არსებობის/დადგომის შესახებ, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და მაკონტროლებელი პირის მიერ სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული ნებისმიერი საერთაშორისო სანქციის ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი საერთაშორისო სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა ან/და რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს კლიენტის ან/და მაკონტროლებელი პირის სანქციების ორგანოს მიერ გამოცემულ/წარმოებული ნებისმიერი სანქცირებული პირების სიაში შეტანა/შეყვანა.

27.2. ბანკი უფლებამოსილია, ბანკისთვის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, იმოქმედოს სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი საერთაშორისო სანქციის მიხედვით და განახორციელოს სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს, შეზღუდოს ან/და უარი თქვას კლიენტის ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, დახუროს კლიენტის ანგარიშები ბანკში ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/შეზღუდოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში, თუ:

27.2.1. კლიენტი დაარღვევს მის მიერ წინამდებარე 26.1. პუნქტში მოცემულ ნებისმიერ განცხადებასა და გარანტიას ან/და ნაკისრ ვალდებულებას:

27.2.2. მიუხედავად, ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების არსებობისა ან/და ხელშეკრულებაში (მათ შორის წინამდებარე მუხლში) განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირობის თუ დებულებისა, ბანკი, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროდ/მიზანშეწონილად ჩათვლის, ასეთი ქმედების განხორციელებას, სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო სანქციებთან ან/და მოთხოვნილ ქმედებებთან, შესაბამისობაში მოსვლის მიზნებისთვის.

27.3. ბანკის მოქმედება სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი საერთაშორისო სანქციის მიხედვით ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი საერთაშორისო სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და კლიენტის მომსახურების შეწყვეტა, შეზღუდვა, შეჩერება ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, არ ჩაითვლება ბანკის მიერ კლიენტის წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და ბანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი საერთაშორისო სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი საერთაშორისო სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და კლიენტის მომსახურების შეწყვეტისთვის, შეზღუდვისთვის, შეჩერებისთვის ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმისთვის.

27.4. კლიენტი ვალდებულია ბანკს აუწყოს ნებისმიერი და ყველა სახის ზიანი (ზარალი), რომელიც ბანკს წარმოეშობა კლიენტის მიერ ზემოთ მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების დარღვევის შედეგად.

28. დავების განხილვის წესი

28.1. მხარეები ყველა ძალას იხმარენ, მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება მოლაპარაკების გზით.

28.2. ბანკი უსასყიდლოდ უზრუნველყოფს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, ან/და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული კლიენტის საჩივრების მიღებას, განხილვასა და გადაწყვეტას ბანკის მიერ დადგენილი ადეკვატური და ეფექტური პროცედურებით. კლიენტი უფლებამოსილია ბანკს საჩივარი წარუდგინოს ზეპირი ან წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით. ბანკი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს აცნობოს მის მიერ არჩეული ფორმით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით).

28.3. კლიენტს იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ბანკის წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომ – კომისია) ბანკისათვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ბანკისათვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული კლიენტი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს, თუ საჩივრით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს არ აღემატება. კომისია დავას განიხილავს უსასყიდლოდ. კლიენტს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კომისიისთვის მიმართვის გარეშე.

28.4. კლიენტის მიერ დავის განსახილველად სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

29. ფორს-მაჟორი

29.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით. დაუძლეველ ძალას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ექვემდებარება მხარის კონტროლს და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა მხარის გონივრული გულმოდგინებისა და ძალისხმევის მიუხედავად, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, სახელმწიფო ორგანოების აქტი ან ქმედება და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები).

29.2. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

29.3. მხარე, რომელიც პასუხისმგებლობის გამოსარიცხად დაუძლეველ ძალაზე მიუთითებს, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენას. მხარე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ დაუძლეველმა ძალამ უშუალო გავლენა იქონია მის მიერ ვალდებულების შესრულებაზე.

30. სხვა პირობები

30.1. ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

30.2. ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებაში. ხოლო, თუ კლიენტთან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულია სხვა კონკრეტული ხელშეკრულება/შეთანხმება, უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

30.3. კლიენტს შეუძლია გაეცნოს მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

30.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

30.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მის საფუძველზე კლიენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოებს ქართულ ენაზე, თუ მხარეები ცალკე წერილობით არ შეთანხმდებიან სხვა საკომუნიკაციო ენის გამოყენებაზე;

30.6. კლიენტის მომსახურების სხვა პირობები, საპროცენტო განაკვეთები და ბანკის რეკომენდაციები უფრო დეტალურად არის აღწერილი ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.